მეგრელ-სვანეთის ოლქის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 270 (5371) | შაბათი, 26 ნოემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

პარტიული მუშაკი, რომელიც თეორიას არ დაუფლებია,—იდეურად ცარიელია. ხოლო იდეური სიცარიელე ხშირად აშორებს ადამიანს რევოლუციისაგან. იდეურად ცარიელი ადამიანები, თუნდაც პარტიული ან კომკავშირული ბილეთის მქონენი, იფლობიან მეშჩანობის, ყოფაცხოვრებითი გახრწნის ჭაობში. ხოლო ამ გზაზე მტრისათვის უფრო ადვილია თავის ქსელში გაჰხვიოს ადამიანი.

„პრავდა“

ახალი კოლხიდა

უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს კოლხიდის დაბლობის ამოშრობას საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობისათვის. ჯერ ერთი ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების განვითარებისა და, მეორე, კოლხიდის დაბლობში მდებარე რაიონების მოსახლეობის გაჯანსაღებისათვის, რომელსაც ათას წლობით წყლებდა ჭაობი და მალარია.

ახალი კოლხიდა დიადი სტალინური ეპოქის ერთერთი ბრწყინვალე მონაპოვარია. ახალი კოლხიდა ისევე დაამშვენებს სოციალიზმის ქვეყანას, როგორც თეთრი ზღვისა და ბალტიის შემაერთებელი არხი, როგორც ვოლგა-მოსკოვი, როგორც საბჭოთა კავშირის ქალაქი ინდუსტრიის სხვა უშესანიშნავესი გიგანტები ამშვენებენ.

კოლხიდის დაბლობი დიდხანს წარმოადგენდა კოლოსა და ბაყაყის სამფლობელოს. მრავალ საუკუნეთა მანძილზე კოლხიდა გაჩანაგებული მხარე იყო.

მხოლოდ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით დაიწყო კოლხიდის აღორძინება. ბოლშევიკების შეუპოვარმა ნებისყოფამ კოლხიდის ჭაობებს ხელიდან **უნდა** გამოსტაცოს 220.000 ჰექტარი მიწა. ეს ფრიად პასუხსაგები, მაგრამ საკმაოდ რეალური საქმეა. ძველი კოლხიდის გარდაქმნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო. კოლხიდის სამუშაოები უფრო ფართოდ გაიშალა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების შემდეგ.

კოლხიდის სამუშაოებისადმი დიდ ინტერესს იჩენს ხალხთა საყვარელი ბელადი ამხანაგი **სტალინი**, დიდი ბელადის მითითებით კოლხიდის სამუშაოები თავმოყრილია კოლხიდის ძირითად მასივში უფრო სწრაფი ეფექტის მისაღებად. ამ მიზნით პირველი რიგის ყველა სამუშაოს თავი ურება ფოთის რაიონში 50.000 ჰექტარ მასივზე იმ ანგარიშით, რომ ამ ფართობის ამოშრობა 1942 წელს დამთავრდეს.

საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ბოლშევიკებმა უკანასკნელი 7 წლის მანძილზე ამხანაგ **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გასწიეს კოლხიდის დაბლობის გაშრობისა და ათვისების დარგში. საქართველოს ბოლშევიკებისა და მშრომელი ხალხის შეუპოვარი ბრძოლის შედეგად, უკვე ამოშრობილია 17.000 ჰექტარი მიწა. ფართო მუშაობა სწარმოებს იმისათვის, რათა ამოშრობილი ფართობი ციტრუსების ბაღნარად გადაიქცეს. პირველი ბრწყინვალე ნაყოფი არის. ციტრუსების ბაღნარი უკვე გაშენებულია 685 ჰექტარზე, სადაც ეს კულტურები საუკეთესოდ ხარობენ. იმ ადგილს, სადაც წინათ გაუვალი ჭაობი და ლაქაშები იყო, ახლა ცხოვრება ჰყვავის და იფურჩქნება. დაშრობილ მიწებზე ეწყობა კოლმეურნეობები, ხდება დასახლება წალენჯიხის, გეგეჭკორის და მთაგორიანი, მცირემიწიანი სხვა რაიონების სოფლებიდან გადმოსახლებულ კოლმეურნეთა რიცხვიდან. შვენიერი კოხტა ოდები, ციტრუსების ბაღებში გაჩენილი საკარმიდამო ნაკვეთები, კოლმეურნეობის ახალგაზრდა ბაღები — აი რას შეხვდებით ახლა კოლხიდის „ბაღ“ სოფლებში.

პოეტი ალიო მაშაშვილი ასე უმღერის ახალ კოლხიდას:

„შორს კი: ნაღმების აფეთქებით
კრთიან ველები,
ეგმურს ებრძვიან უანგისფერი
კოლხიდელები,
წყლნი წასულან და წასულა სადღაც
რაონი,
კოლხიდის მიწა ტანს აშუშებს სველს
და მანკიერს,
და ჩემს ეზოშიც, ლაქაშების ნესტის
მაგიერ,
ბანდარინების, ნარინჯების დგას
ალიონი!“

ბალხის მტრები, კონტრრევოლუციონერი, ტროცკისტ-ბუხარინელი არამზადები ყოველმხრივ აბრკოლებდნენ კოლხიდის სამუშაოებს, ცდილობდნენ ჩაეშალათ ეს გიგანტური წამოწყება, მაგრამ ფაშიზმის პირსისხლიანი აგენტები ანგარიშში მოსტყუვდნენ. არამზადები განადგურებულ იქნენ.

„კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული მასალები ნათლად მოწმობენ იმ დიდ წარმატებებს, რომლებიც ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულია კოლხიდის დაშრობისა და ათვისებისათვის ბრძოლაში.

უდიდესი სამუშაო, რომელიც კოლხიდაში სწარმოებს და რაც დაკავშირებულია დაშრობის სამუშაოებთან, არის მდინარე რიონის გადაგდება. მთელი მუშაობა ამჟამად იქითკენ არის მიმართული, რომ 1939 წელს რიონი ახალი კალაპოტით წავიდეს. ამავე წელს ახალ კოლხიდას უნდა შეემატოს 9.000 ჰექტარი მიწა.

კოლხიდის დაშრობისა და ათვისების გენერალური გეგმის მიხედვით 51.000 ჰექტარ ამოშრობილ ფართობიდან 39.000 ჰექტარი დაეთმობა სხვადასხვა კულტურებს. 10.000 ჰექტარამდე გაშენდება ციტრუსები, 2.000 მეტ ჰექტარზე რამი. ყოფილ დაჭაობებულ ადგილებზე აყვავდებიან ჩაი, ტუნგო და სხვ. ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურები.

კოლხიდის დაბლობში მომუშავე ახალგაზრდა კადრები, შეიარაღებულნი უმაღლესი ტექნიკით, ენერგიულ ბრძოლას აწარმოებენ ბუნების სტიქიასთან. 400 მეტი სტახანოველია ამჟამად კოლხიდაში. ექსკავატორები, ტრაქტორები გუგუნებენ ახლა კოლხიდაში და იმორჩილებენ საუკუნეობით დამდგარ ჭაობს.

ამ მიღწევებთან ერთად არის ნაკლოვანებანი. უნდა ითქვას, რომ შეუწყნარებლივ ნელი ტემპებით მიმდინარეობს მიწის ამოღების სამუშაოები. ამ სამუშაოთა გეგმა 1 ნოემბრისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 70 პროცენტით. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მოწესრიგებული არ არის ექსკავატორების შეუფერებელი მუშაობა. ადგილი აქვს მუშა-ხელის დიზორდობას. სუსტია ადგილებზე კავშირი. ყველაფერი ეს ცუდი ატესტაციაა საქართველოს საექსკავატორო სადგურის ხელმძღვანელ მუშაკთათვის.

კოლხიდაშენის ხელმძღვანელებმა და მუშაკთა მთელმა კოლექტივმა, ფოთის პარტიულმა ორგანიზაციამ და იმ რაიონების ყველა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, რომლებიც კოლხიდის დაბლობებს ეკვრიან (ხობი, ლანჩხუთი, ზუგდიდი, ცხაკაია, აბაშა), „კიდევ უფრო უკეთ უნდა მოჰკიდონ ხელი კოლხიდის დაშრობისა და ათვისების სამუშაოებს, ვინაიდან კოლხიდის სამუშაოთა წარმატებით შესრულება წარმოადგენს საქართველოს ბოლშევიკთა და ყველა მშრომელთა ღირსების საქმეს“. **(ლ. ბერია).**

გაივლის კიდევ რამდენიმე წელი. ახალი კოლხიდა გენერალური პროექტის განხორციელების საფუძველზე ჩვენს წინაშე წარმოსდგება როგორც მთლიანად აყვავებული შბარე — თვალწარმტაცი ციტრუსების ბაღნარით, მაღალმოსავლიანი მიწებით, მძლავრი კოლექტიური მეურნეობით. ინდუსტრიალიზაციის სტალინური გეგმის ბრწყინვალე გამარჯვებამ, სოფლის მეურნეობის აღტურვამ პირველხარისხოვანი იარაღ-მანქანებით ახალი კოლხიდა შვენიერი და მდიდარი გახადა. ჭეშმარიტად, არ არსებობს ისეთი ციხესიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოთ.

კოლხიდაშენის საცდელი სადგურის აგროტექნიკოსი ნ. სერგია ათვალიერებს პანდეროზის ჯიშის ლიმონს.
ფოტო, ი. რიშკოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმის რეზოლუცია

პარიზი, 23 ნოემბერი (საკდესი). გუშინ საღამოს დაიხურა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმის სხდომა. პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია საერთო პოლიტიკის საკითხზე. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ამხილებს დალადიეს მთავრობის რეაქციულ საშინაო პოლიტიკას, პროტესტს აცხადებს რესპუბლიკური ესპანეთის მიმართ ახალი „მიუნხენის“ მომზადების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ იგი მზადაა მონაწილეობა მიიღოს საფრანგეთის ეკონომიური და ფინანსიური გაჯანსაღების საქმეში, აგრეთვე მშვიდობიანობისა და დემოკრატიის უზრუნველყოფის მიზნით ხალხის საყოველთაო შეიარაღების საქმის ხელმძღვანელობაში.

რეზოლუციაში წამოყენებულია საფრანგეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგი პროგრამა: საგანგებო დეკრეტების გაუქმება, სოციალური კანონმდებლობის შენარჩუნება და მუშათა კლასის უფლებათა უზრუნველყოფა; საჭირო ზომების მიღება ბავშვების უზრუნველყოფისათვის, რათა საფრანგეთში შენარჩუნებულ იქნას ჯანსაღი თაობა; არაპირდაპირ გადასახადთა ლიკვიდაცია, რომელნიც ცხოვრების საგრძნობლად გაძვირებას იწვევენ, და შემოსავალზე პროგრესიული გადასახადის დაწესება; დიდ ქონებათა საგანგებო გადასახადებით დაბეგვრა და რეპრესიული ზომების მიღება იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც ოქრო და კაპიტალები საზღვარგარეთ გააქვთ; ქვანახშირის მახტებისა და დამზღვევი კომპანიების ნაციონალიზაცია; საპარლამენტო დაწესებულებათა რეგულარული მოქმედების უზრუნველყოფა. რეზოლუცია მოითხოვს მკაცრი ზომების მიღებას საფრანგეთში საერთაშორისო ფაშიზმის აგენტების წინააღმდეგ, აღდგენილი ფაშისტური ლიგების დაუყოვნებლივ დაშლას და „კაგულიართა“ მეთაურების დაპატიმრებას.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს საფრანგეთის მთელ ხალხს ერთიანობისაკენ, რათა მან წინააღმდეგობა გაუწიოს გერმანიის ფაშიზმს და შინაური რეაქციას.

საფრანგეთის მთავრობის სხდომა

პარიზი, 23 ნოემბერი (საკდესი). დღეს დილით რესპუბლიკის პრეზიდენტ ლებრენის თავმჯდომარეობით შესდგა საფრანგეთის მთავრობის სხდომა. ოფიციალური კომუნიკეს თანახმად, ჩემბერლენისა და ჰალიფაქსის პარიზში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, სხდომაზე მოსმენილ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრის ინფორმაცია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

როგორც ზაუერვეინი სწერს „პარი სუარში“, მთავრობამ მოიწონა საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაციის ტექსტი.

პერტინაკსი „ორდრში“ აღნიშნავს, რომ თავდაპირველად გერმანიის მთავრობამ დეკლარაციის გამოქვეყნების წინასწარ პირობად წამოაყენა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა ამ შეთანხმების მიხედვით საფრანგეთის მთავრობამ უნდა აიძულოს გაზეთები უფრო თავშეკავებით გაუკეთონ კომენტარიები საერთაშორისო ამბებს და, კერძოდ, გერმანიის ჭოლტიკას. საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაციის გამოქვეყნების წინასწარ პირობად ჰიტლერმა წამოაყენა აგრეთვე მოთხოვნა იმის შესახებ, რომ საფრანგეთის მთავრობამ გამოაქვეყნოს ანტიკომუნისტური დეკლარაცია. მაგრამ ჰიტლერი და მისი მრჩეველნი მიხვდნენ, რომ ისინი ამჟამად ვერ მიიღწევენ ამ ღონისძიებებს და ამიტომ დროებით ხელი აიღეს ამაზე.

როგორც დე კირილისი აღნიშნავს „ეპოქაში“, გერმანიამ საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაციის ფასად მოითხოვა და თითქოს უკვე მიაღწია დაპირებას, რომ ხელმოწერილი იქნება შეთანხმება, რომელიც პირში ბურთს ჩასჩრის საფრანგეთის პრესას, შესაძლებლობას მოუსპობს მას გააკრიტიკოს ჰიტლერის გერმანია, აგრეთვე მიაღწია დაპირებას, რომ დაშლილ იქნება საფრანგეთის კომუნისტური პარტია.

საგაფიცვო მოძრაობის ზრდა საფრანგეთში

პარიზი, 24 ნოემბერი (საკდესი). საფრანგეთის მთავრობის საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციები გრძელდება. ის დემონსტრაციებში, რომლებიც მოხდა ბულონსა და ბიანკურში, მონაწილეობა მიიღო 20 ათასმა კაცმა, მონრუჟში გამართულ დემონსტრაციაში — 1200 კაცმა.

საფრანგეთის ჩრდილოეთ რაიონებში ფართოვდება საპროტესტო გაფიცვები საგანგებო დეკრეტების შეტოლების წინააღმდეგ; გაფიცულთან ერთად გაფიცულნი საწარმოებს იკავებენ. დენენში გაიფიცა კელის ქარხნების 3.500 მელითონე ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ მეწარმეთ განზრახული აქვთ შემოიღონ დამატებითი სამუშაო საათები. მუშები მზად არიან ომუშაონ დამატებითი საათები კოლექტიურ ხელშეკრულებათა ფარგლებში, მაგრამ უარს ამბობენ საგანგებო დეკრეტებით გათვალისწინებულ დამატების დროზე. პოლიციამ აიძულა მუშები გაეწმინდათ საწარმოები.

პრესის ცნობით, დღეს ვალენსიენში კელის ქარხნების გაფიცულ მუშებთან სოლიდარობის გაფიცვა გამოაცხადა 17 ათასმა მელითონემ.

იუწყებიან აგრეთვე გაფიცვათა მრავალრიცხოვან შემთხვევების შესახებ საფრანგეთის მთელ რიგ დეპარტამენტთა პატარა საწარმოებში.

ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის არჩევნების გამო

პრაღა, 24 ნოემბერი (საკდესი). დოქტორი ემილ გახა, რომლის კანდიდატურაც „ეროვნული ერთიანობის პარტიისა“ და „ჭლინკის სლოვაკთა ნაციონალური პარტიის“ წარმომადგენელთა თათბირმა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენა, დასთანხმდა კენჭი იყაროს.

როგორც ჟურნალისტთა წრეებში იუწყებიან, ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელ პოლიტიკურ მოღვაწეთა არჩევანი მთელ რიგ გარემოებათა გამო შეჩერდა ვახას კანდიდატურაზე, რომელიც წინათ არ სჩანდა პრეზიდენტობის კანდიდატთა სიაში. „ნაციონალური ერთიანობის პარტიაში“ გაერთიანებულ ორგანიზაციათა — აგრარიერების, ჩეხის სოციალისტებისა და სხვ. — ლიდერების ურთიერთუნდობლობამ შესაძლებლობა არ მისცა მათ შესაფერი კანდიდატურა შეერჩიათ პოლიტიკურ ან სამეწველო-ფინანსიურ მოღვაწეთაგან, მას შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა მინისტრის ხვალკოვსკის კანდიდატურა მოიხსნა (როგორც ფიქრობენ, ერთის მხრით მთელი რიგი პირადი მიზეზების გამო და, მეორეს მხრით, იმის გამო, რომ ბერლინს აშინებდა ხვალკოვსკის დიდი ხნის კავშირი იტალიის ფაშისტურ წრეებთან), სხვადასხვა ჯგუფმა პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატად წამოაყენა მთელი რიგი პირები: პრეისი, ჩერნი, დეოჟაჩეკი და სხვ. ხანგრძლივი დავის შედეგად, ყველა ეს კანდიდატურაც მოიხსნა. არჩევანი შეჩერდა ისეთ პირზე, რომელსაც ფორმალურად დამოკიდებულება არა აქვს რესპუბლიკის 20 წლის არსებობის განმავლობაში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ პარტიებთან.

გერმანიისათვის დანციგის გადაცემის მომზადება

ვარშავა, 23 ნოემბერი (საკდესი). ვარშავაში დარბაზობის შემდეგ ერთა ლიგის კომისარს დანციგში ბურკჰარდტს განზრახული აქვს იახულოს გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრები. „ილუსტროვანი კურიერ ცოძენი“ იუწყება, რომ დანციგის ამჟამად არსებული საერთაშორისო სტატუტის ნაცვლად, პოლონეთი და გერმანია ორმხრივი მოლაპარაკების გზით გამომუშავებენ ახალ სტატუტს, რომელიც საბოლოოდ განამტკიცებს „გერმანიის უფლებებს“ ამ ქალაქზე. ერთა ლიგასთან „თავისუფალი ქალაქის“ კავშირის საბოლოო ლიკვიდაციის შემდეგ გამოცხადებული იქნება აგრეთვე დანციგის ახალი კონსტიტუცია.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობა

ვაშინგტონი, 23 ნოემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი იუწყება, რომ გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გერმანიის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, სადაც იგი მოითხოვს იმის გარანტიას, რომ 12 ნოემბრის ანტისემიტური კანონები გამოყენებული არ იქნება გერმანიაში მცხოვრებ ამერიკელ ებრაელთა მიმართ.

ინგლის-თურქეთის ურთიერთობა

ლონდონი, 23 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველის ცნობით, თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა ინგლისის მთავრობას, რომ ათათურქის გარდაცვალება არ გამოიწვევს ინგლის-თურქეთის ურთიერთობის შეცვლას.

გერმანიის ანტისემიტური კანონები დანციგში

ვარშავა, 24 ნოემბერი (საკდესი). პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, დანციგის ფაშისტურმა ხელისუფლებამ გამოაქვეყნა განკარგულება იმის შესახებ, რომ გერმანიის ანტისემიტური კანონები გავრცელდეს დანციგის ტერიტორიაზე. ეს განკარგულება „გერმანული სისხლის“ დანციგის ქვეშევრდომებს უკრძალავს „არაარიელებთან“ დაქორწინებას და სხვ.

პოლონეთის კომისარმა ხოდაკევიმ დანციგის ხელისუფალთ პროტესტი განუცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ანტისემიტური კანონები გავრცელდეს პოლონელებზე და დანციგში მყოფ პოლონეთის ქვეშევრდომებზე.

სსრ კავშირის წარმომადგენელთა საუბარი თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან

ანკარა, 24 ნოემბერი (საკდესი). გუშინ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ისმეთ ინინიუმ თავის კერძო რეზიდენციაში საგარეო საქმეთა მინისტრ შუქრი სარაჯოღლუს თანადასწრებით მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. პოტიომკინი და სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ამხ. ტერენტიევი. საუბარს, რომელიც საათახევარს გაგრძელდა, გულითადი ხასიათი ჰქონდა.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან საუბრამდე ამხ. პოტიომკინმა ამხ. ტერენტიევის თანხლებით ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელთანაც ხანგრძლივი მეგობრული საუბარი ჰქონდა.

იმავე დღეს ამხ. პოტიომკინმა და ტერენტიევმა ინახულეს კამუტაის (თურქეთის პარლამენტი) თავმჯდომარე აბდულხალიკ რენდა. უკანასკნელი იმავე დღეს საღამოს საპასუხო ვიზიტით ეწვია საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობას, ორივე შეხვედრა კამუტაის თავმჯდომარესთან აგრეთვე მეგობრობისა და გულწრფელობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

ესპანეთის პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება

ბარსელონა, 24 ნოემბერი (საკდესი). ესპანეთის პარლამენტის თავმჯდომარემ მარტინეს ბარიომ გაზეთ „ფრენტე ტრეხოს“ კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა: რაც უფრო მჭიდროდ ერტყმიან გარს ესპანეთს მით უფრო საჭირო, მით უფრო მტკიცე ხდება ესპანეთის ხალხის ერთიანობა. ევროპის დიპლომატია, — განაცხადა ბარიომ, — შეეცდება გამოიწვიოს უთანხმოება ესპანეთის პარტიებს შორის. ამიტომ ოდნავი გადახრა ერთიანობიდან რესპუბლიკის დაცვის საქმის ღალატია.

ლენინგრადის საარტილერიო-ტექნიკური სასწავლებლის და მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ასამაღლებელი საარტილერიო კურსების დაჯილდოება „წითელი დროშის“ ორდენით

ლენინგრადის საარტილერიო-ტექნიკური სასწავლებელი 20 წლისთავის აღსანიშნავად, სამოქალაქო ომის წლებში საბრძოლო დამსახურებისათვის და საარტილერიო-ტექნიკური კადრების მომზადების საქმეში წარმატებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია „წითელი დროშის“ ორდენით.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ასამაღლებელი საარტილერიო კურსები საბრძოლო წარსულის აღსანიშნავად და მუშურ-გლეხური წითელი არმიის საარტილერიო კადრების მომზადების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია „წითელი დროშის“ ორდენით. (საკდესი).

გაიხსნა რემედასის საქართველოს ორგანიზაციის მე-6 ყრილობა

24 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ვოროშილოვის სახელობის კლუბში გაიხსნა რევოლუციისათვის მებრძოლთა დახმარე საერთაშორისო საზოგადოების (რემედასი) საქართველოს ორგანიზაციის მე-6 ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს რემედასის ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. ნ. ალაჯალოვამ.

ყრილობის საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნა ამხ. მ. ჯაში, ი. ღეინჯილია, ნ. ალაჯალოვა, ვ. შკურკო, თ. აბაშმაძე, გ. ურჯუმელაშვილი, შ. პაპელაშვილი, კბუზოვი და სხვ. — სულ 19 კაცი. საპატიო პრეზიდიუმში მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის—დიდი **სტალინის** დასახელებას ყრილობის დელეგატები ფეხზე ადგომით და მჭუხარე ტაშით შეხვდნენ. ტაში დიდხანს არ ცხრება. ისმის ადგილებიდან დელეგატების მგზნებარე შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ ლ. ბერიას!“.

ყრილობა აგრეთვე ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდა საპატიო პრეზიდიუმში დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლების, მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, კალინინის, ჟდანოვის, ეუოვის, ანდრეევის, მიკოიანის, დიმიტროვის, ბერიას, ხოზე დიასის, დოლორეს იბარურისა და ტელმანის დასახელებას.

ყრილობამ პირველ საკითხად მოისმინა ამხ. ალაჯალოვას საანგარიშო მოხსენება საქ. რემედასის ცენტრ. კომიტეტის მუშაობის შესახებ და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ტიურინის მოხსენება.

ყრილობაზე წაკითხულ იქნა სსრ კავშირის რემედასის ც. კ-საგან მიღებული მისასალმებელი დეპეშის ტექსტი. ამით დამთავრდა ყრილობის პირველი სხდომა. (საკდესი).

დაიწყო კიბოს საწინააღმდეგო საერთაშორისო კვირეული

23 ნოემბერს, ძერჟინსკის სახელობის (შინსახკომის) კლუბში შესდგა საქართველოს საექიმო საზოგადოების ღია სხდომა, მიძღვნილი კიბოს საწინააღმდეგო საერთაშორისო კვირეულის დაწყებისადმი.

პრეზიდიუმის მაგიდასთან იყვნენ პროფესორები და ექიმები: ალ. მაკავარიანი, კ. ერისთავი, გ. ღამბარაშვილი, ი. ფარანგულიანი, გ. ნაზარიშვილი, კ. ვეფხვაძე, ბ. წულუკიძე, პ. ქავთარაძე, ალ. ალადაშვილი, გ. ცაგარელი და სხვ.

სხდომა, რომელსაც თბილისის საწარმოთა მუშები და მშრომელი ინტელიგენცია ესწრებოდა, გახსნა პროფ. გ. ვაწაძემ. კიბოს საწინააღმდეგო საერთაშორისო კვირეულის მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა საქ. ჯანსახკომისრის მოადგილემ პროფ. ალ. მაკავარიანმა.

ამის შემდეგ საექიმო საზოგადოების ღია სხდომამ მოისმინა მოხსენებები: დოკ. კ. ვეფხვაძისა—კიბო და მის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია, პროფ. გ. ღამბარაშვილისა—კიბოს ნაადრევი დიაგნოსტიკა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები, პროფ. გ. ნაზარაშვილისა — რენტგენის და რადიუმის სხივების მნიშვნელობა კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

23 ნოემბრიდან მთელს საქართველოში დაიწყო კიბოს საწინააღმდეგო კვირეული.

უკანასკნელი ცნობები

რუმინეთის მეფე ჰიტლერს ეწვია

პარიზი, 25 ნოემბერი (საკდესი). რუმინეთის მეფე გუშინ მიღებულ იქნა ჰიტლერის მიერ მის რეზიდენციაში, ბერხტესგადენში. საუბარი სწარმოებდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის რიბენტროპის დასწრებით.

საბჭოთა დელეგაცია ანკარიდან სოფიაში გაემგზავრა

ანკარა, 25 ნოემბერი (საკდესი). საბჭოთა დელეგაცია, რომელიც ათათურქის დაკრძალვაში მონაწილეობდა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. პოტიომკინისა და შავიზღვის ფლოტის სარდლის მე-2 რანგის ფლაგმანის ამხ. იუმაშევის შემადგენლობით გუშინ ანკარიდან სტამბოლს გაემგზავრა. დელეგაციას თან ახლავს სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ამხ. ტერენტიევი.

დელეგაციის გამგზავრებასთან დაკავშირებით ვაგზალზე გამწკრივებულ იქნა საპატიო ყარაული. დელეგაციის გაცილებას დაესწრნენ: თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შუქრი სარაჯოღლუ, სამხედრო მინისტრი კიაზიმ ოზალპი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო ნაწილის უფროსი, ქალაქის კომენდანტი, სამხედრო მინისტრის მრჩეველნი, ესპანეთის საქმეთა რწმუნებული, ჩინეთის საქმეთა რწმუნებული, შვეიცის ელჩი თურქეთში და საბჭოთა კოლონია.

ანკარიდან გამგზავრებამდე ამხ. პოტიომკინი და ტერენტიევი და თურქეთის სამხედრო მინისტრი ოზალპი ერთმანეთს სადარბაზოდ ეწვივნენ.

ლაშქრობა მაღალ მთებში

ბარისახო, 25 ნოემბერი (ტელეგრ. საეც. კორ.). 24 ნოემბერს ითელარმიელთა რაზმმა, რომელიც ოდის კავკასიონის ქედით სერგო ორჯონიკიძის მიერ განვლილი საბრძოლო მარშრუტით, მოაღწია პირველ — ხევსურეთის სოფელ ხახატს. ზამთრობით მიუკარებელი ფენერვალი დათვის-ჯვრის ულელტეხილი. ს.-დაც ჯერ არც-ერთი ცხენოსანი არ გადასულა ამ დროს, რაზმმა წარმატებით და უმსხვერპლოდ დასძლია.

მწვერვალზე ამოსვლისას თავი მოიყარეს რაზმის დანაყოფთა მებრძოლებმა, არტილერისტებმა, მეტყველამფრქვეველებმა, ფეხოსნებმა. გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომელმაც მწვერვალიდან მისასალმებელი დეპეშით მიმართა ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს**, აგრ. **ვოროშილოვს** და სერგო ორჯონიკიძის მებრძოლ მეგობარს — ზინაიდა გაბრიელის-ასულს. მიტინგის დამთავრებისას გაისმა „ურას“ ძახილი ამხანაგი სტალინის პატივსაცემად. დანაყოფებმა ასტეხეს სასალუტო სროლა და რაზმი დაიძრა.

შატილიდან რაზმს მოჰყვებიან დუშეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე სერგო როსტიაშვილი და ბარისახოს სოფლსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვანო კუკია. ახლო-მახლო სოფლებიდან გამოდის მთელი ხევსურეთის მოსახლეობა და მიესალმება სტუმრებს.

25 ნოემბერს რაზმი ჩამოვა ბარისახოში, ოცდა ექვსს აქ დაისვენებენ და გამოემართებიან მაღაროსკარისაკენ. რაზმს მოჰყვებიან ამხ. ს. ორჯონიკიძის პარტიზანული რაზმის მონაწილენი, რომლებმაც ეს გზა სერგოსთან ერთად გაიარეს: ხიზირ ოსხანოვი, რუსი მწვრაილი ალექსანდრე შაპირო და ინგუში მწვრალი ბაზორგინო, რაზმის კომისარია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი ამხ. ჩელახსაევი, მეთაურია — კაპიტანი დიაკონოვი.

დ. ლომთაძე

ყინულმჭრელ „სედოვის“ დრეიფი

ყინულმჭრელ „სედოვის“ გემანი. 24 ნოემბერი (საკდესის სპეცკორ. რადიო). აი უკვე ორი დღეა, რაც ყინულმჭრელის რაიონში ქარბუქია. სამხრეთის მიმართულების ქარების გამო ძლიერი ყინულის შეკვრა დათბა. გუშინ ტემპერატურა—11,6 უდრიდა. დილით შეშინებული იყო ყინულების გადაადგილება ბეგმიდან 350 მეტრის მანძილზე. 22 ნოემბერს დავიკავეთ ჰიდროლოგიური სადგური 500-დე მეტრის სიღრმის რამდენიმე ჰორიზონტი.

გუშინ 14 საათზე ყინულმჭრელის ადგილსამყოფელი განისაზღვრებოდა ჩრდილოეთის განედის 85 გრადუსისა და 27 წუთის და აღმოსავლეთის გრძედის 125 გრადუსისა და 07 წუთის კოორდინატებით.

ეკიპაჟი ჯანმრთელად არის.

ლენინგრადის სამეურნეო-ფინანსური ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში

ქვანახშირის შახტებში საგანწესო სისტემის შემოღების შესახებ

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის

1938 წლის 13 ნოემბრის № 473 ბრძანების გადმოცემა

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხანაგმა ლ. მ. კაგანოვიჩმა გამოსცა ბრძანება „ქვანახშირის შახტებში საგანწესო სისტემის შემოღების შესახებ".

იმის გამო, რომ ქვანახშირის შახტებში არსებული უგანწესო სისტემა ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის მომზადებასა და მიღება-ჩაბარების სწორ ორგანიზაციას, უქმდება შახტებში მუშაობის ორგანიზაციის უგანწესო სისტემა.

წესდება მაღაროს ოსტატისათვის (ათისთავისათვის) სავალდებულო მიცემა ცვლის განმავლობაში სამუშაოთა წარმოების განწესისა, რომლის მიხედვითაც სწარმოებს სამუშაო ადგილის მიღება წინა ცვლისაგან უბანზე სამუშაოთა მდგომარეობის აღნიშვნით განწესში.

მაღაროს ოსტატმა (ათისთავმა) წინა ცვლის მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება აწარმოოს უშუალოდ მუშაობის ადგილზე.

სამუშაო, რომელიც მოითხოვს ერთ ცვლაზე მეტს, მიიღოს პირადად უბნის უფროსმა ან მისმა თანაშემწემ.

შახტების გამგეებმა და უბნების უფროსებმა სისტემატურად შეამოწმონ უშუალოდ ადგილებზე — ლავაში, სანგრევში—როგორც შესრულებული სამუშაოს განწესში ჩაწერის სისწორე, და ამასთან არ დაუშვან შეუსრულებელი სამუშაოთა მიწერა, ისე ცვლის მიერ ჩაბარებული ნამუშევარის ხარისხი.

გაფრთხილებულ იქნან შახტების გამგეები, მთავარი ინჟინრები, უბნების უფროსები და მათი თანაშემწეები, მაღაროს ოსტატები (ათისთავები), რომ განწესებში შეუსრულებელ სამუშაოთა მიწერის, ცუდი ხარისხის ნამუშევრის მიღების დაშვებისათვის ისინი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

დაამტკიცა რა „გლავუგოლის" ინსტრუქცია „შახტებში საგანწესო სისტემის ორგანიზაციის შესახებ", სახალხო კომისარმა მიუთითა განმარტებულ იქნას 1938 წლის 13 ნოემბრის № 473 ბრძანება ყველა ბრიგადაში, ყველა უბანში, განხილულ იქნას მაღაროელებთან ის ღონისძიებანი, რომლებიც საგანწესო სისტემის საფუძველზე უზრუნველჰყოფენ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას და ქვანახშირის მოპოვების აღმავლობას.

შახტებში საგანწესო სისტემის ორგანიზაციის შესახებ

„გლავუგოლის" ინსტრუქციის გადმოცემა

საწარმოო პროცესის ზუსტი მართვის ორგანიზაციისა და უბნების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის წესდება უბანზე მუშაობის მართვის შემდეგი ორგანიზაცია:

მაღაროს ოსტატი (ათისთავი) სამუშაო ცვლის დაწყებამდე უბნის უფროსისაგან ან მისი თანაშემწისაგან იღებს ცვლის განმავლობაში სამუშაოთა წარმოების განწესს და საწარმოო დავალებას.

განწესი სდგება ციკლური მუშაობის გრაფიკის საფუძველზე უბანში ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც ირკვევა სამუშაო ცვლის დაწყებამდე.

შახტში ჩასვლამდე მაღაროს ოსტატი (ათისთავი) აცნობს განწესს თავისი ცვლის ბრიგადირებსა და მუშებს და თვითეულ მუშას მიუთითებს მისი სამუშაოს ადგილსა და ხასიათს. ამავე დროს მაღაროს ოსტატი (ათისთავი) ამოწმებს, რამდენად უზრუნველყოფილია ცვლა მასალებითა და ხელსაწყოებით.

მაღაროს ოსტატი (ათისთავი) უშუალოდ მუშაობის ადგილზე იღებს სამუშაოს წინა ცვლის მაღაროს ოსტატისაგან (ათისთავისაგან), განწესის (საგზურის) მარჯვენა ნაწილში აღნიშნავს უბნის სანგრევთა მომზადების მდგომარეობას და წინა ცვლაში შესრულებული მუშაობის ხარისხს.

სანგრევთა არადამაკმაყოფილებელი მომზადების შემთხვევაში მაღაროს ოსტატი (ათისთავი) აცნობებს ამის შესახებ უბნის უფროსს ან მის თანაშემწეს.

ბრიგადირები მუშებს სამუშაო ადგილზე აყენებენ მიღებული განწესის მიხედვით. სამუშაოზე მუშების დაყენების სისწორეს აუცილებლად ამოწმებს მაღაროს ოსტატი (ათისთავი) ცვლის დაწყებისას.

გასული ცვლის განწესს (საგზურს) მაღაროს ოსტატი (ათისთავი) გადასცემს უბნის უფროსს ან მის თანაშემწეს არა უგვიანეს ერთი საათისა ცვლის დამთავრების შემდეგ და ეს განწესი წარმოადგენს მაღაროს ოსტატის (ათისთავის) ტექნიკურ ანგარიშს იმ სამუშაოთა შესახებ, რომლებიც ჩატარებულია ცვლის განმავლობაში. განწესის (საგზურის) საფუძველზე უბნის უფროსი ან მისი თანაშემწე არკვევს, როგორ შეასრულა მაღაროს ოსტატმა (ათისთავმა) მისთვის მიცემული განკარგულებანი, ავსებს ციკლურობის ასრულების გრაფიკს და ადგენს სანგრევთა მდგომარეობის ესკიზს.

განწესი (საგზური) სდგება სპეციალური ფორმის მიხედვით.

უბნის უფროსი ან მისი თანაშემწე ასრულების გრაფიკის და ესკიზის მიხედვით მოახსენებს შახტის მთავარ ინჟინერს ან მის შემცვლელ თანაშემწეს გასული ცვლის განმავლობაში უბნის მუშაობის შედეგების შესახებ, შემდეგი ცვლისათვის განწესის შესახებ.

უბნის უფროსი და მისი თანაშემწე ჩადიან შახტში იმ გრაფიკით დაწესებულ დროს, რომელიც დამტკიცებულია შახტის მთავარი ინჟინრის მიერ, რათა უზრუნველჰყონ ოპერატიული ხელმძღვანელობა და კონტროლი უშუალოდ სამუშაო ადგილზე.

უბანში შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად დაწესებულ იქნას შესრულებულ სამუშაოთა მტკიცე მიღება მიღებისა და დაწუნების შესახებ მომქმედი დებულების შესაბამისად.

შესრულებულ სამუშაოთა მიღება სწარმოებს უშუალოდ სამუშაო ადგილზე იმ ბრიგადირისა ან მუშის მონაწილეობით, რომელმაც შეასრულა ეს სამუშაო.

სამუშაოებს, რომლებიც გათავდება ცვლის განმავლობაში, მიიღებს მაღაროს ოსტატი (ათისთავი), ხოლო სამუშაოებს, რომლებიც უფრო ხანგრძლივი ვადის განმავლობაში სრულდება—უბნის უფროსი ან მისი თანაშემწე.

ცუდი ხარისხის ნამუშევრის მიღებისათვის მაღაროს ოსტატი (ათისთავი), უბნის უფროსი ან მისი თანაშემწე, რომლებიც მიიღებენ ამ ნამუშევარს, აგებენ მატერიალურ და ადმინისტრატიულ პასუხს დადგენილი წესის მიხედვით.

შეუსრულებელ სამუშაოთა მიწერა წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, და ის პირები, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან მიწერაში, მიცემული იქნებიან სასამართლო პასუხისგებაში.

სამუშაოზე გამოსული მუშების აღნიშვნა და მათთვის განწესის გაცნობა სწარმოებს სპეციალურ შენობაში შახტის ზევით (საგანწესოში).

თვითეულ მიწისქვეშა უბანში მოწყობილ უნდა იქნას სპეციალური კამერა უბნის სამეთაურო შემადგენლობისათვის. ამ კამერაში მოთავსებული უნდა იყოს სამუშაოთა გრაფიკები, მარკშეიდერის ნახაზები და უბნის სხვა მასალები.

ცვლის დაწყებისას სამუშაოთა მდგომარეობის გამორკვევის წესი

ცვლის დაწყების წინ უბანში არსებული ფაქტიური მდგომარეობის გამოსარკვევად და განწესის მისაცემად საჭიროა, რომ უბნის უფროსს ან მის თანაშემწეს ჰქონდეთ ცნობები იმ სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ, რომლებიც მათ გადაეცემათ შემდეგნაირად:

სადისპეტჩერო სამსახურის არსებობის შემთხვევაში ათისთავი განწესის დაწყების ერთი საათის წინ გადასცემს შახტის დისპეტჩერს ცნობებს ცალკეულ სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ; უკანასკნელს შეაქვს ეს ცნობები ასრულების გრაფიკში და დაუყოვნებლივ გადასცემს უბნის უფროსს ან მის თანაშემწეს, რომლებიც იძლევიან განწესს ცვლისათვის;

სატელეფონო კავშირის არსებობისას ათისთავი, განწესის დაწყების ერთი საათის წინ, ცალკეულ სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ ყველა საჭირო ცნობებს გადასცემს ტელეფონით უბნის უფროსს ან მის თანაშემწეს, რომლებიც შეავსებენ ასრულების გრაფიკს და მისცემენ ცვლას განწესს;

სადისპეტჩერო სამსახურისა და სატელეფონო კავშირის უქონლობის შემთხვევაში ათისთავი, განწესის დაწყების ერთი საათის წინ, უბნის უფროსს ან მის თანაშემწეს სპეციალური ბარათით გადასცემს ყველა საჭირო ცნობებს ცალკეულ სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ, სანგრევის ესკიზის დართვით, მნგრეველთა ბრიგადირის ან მყელავი ბრიგადის ბრიგადირის საშუალებით, რომლებიც ამთავრებენ მუშაობას სხვა მუშებზე ერთი საათით წინ;

უბნის უფროსი ან მისი თანაშემწე მიღებული ცნობების მიხედვით ავსებს ასრულების გრაფიკს **და აძლევს ცვლის განწესს.**

„ინდუსტრია"

პარტიული ცხოვრება

საფუძვლიანად გარდავქმნათ პროპაგანდისტული მუშაობა

თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა პოლიტიკური აღზრდის საქმეს.

აქამდე ფაბრიკის პარტკომი მთელ თავის ძალღონეს პოლიტწრეების ჩამოყალიბებასა და მათში მსმენელთა „ჩაბმას" ანდომებდა. ამ განსაკუთრებული მზრუნველობის შედეგად ფაბრიკაში ჩამოყალიბებულ იქნა სხვადასხვა ტიპის 9 პოლიტწრე (გარდა ამისა, პარტკაბინეტმა ცალკე ჩამოაყალიბა საკ. კ. პ. (ბ) წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი წრეები კანდიდატებისა და თანამგრძნობებისათვის), რომლებშიც „ჩაბმულია" უკლებლივ ყველა კომუნისტი და თანამგრძნობი.

პარტიულ კომიტეტში ხშირად იხილავდნენ იმ კომუნისტების საკითხს, რომლებიც პოლიტწრის მეცადინეობაზე დაგვიანებით ცხადდებოდნენ ან აცდენდნენ მას. როგორც პარტკომის მდივანი ამხ. გიორგაძე გულახდილად აცხადებს, არცთუ იშვიათი იყო შემთხვევები, როდესაც ასეთ კომუნისტებს პარტიულ სასჯელს აღებდნენ. პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობა და კონტროლი პროპაგანდისადმი უმთავრესად გამოიხატებოდა პოლიტწრეების მუშაობის შემოწმებით, ამასთან ეს შემოწმებაც აშკარა ზერელე „რევიზორულ" ხასიათს ატარებდა.

ნაკლებად ზრუნავდა პარტკომი აგრეთვე მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტების შერჩევაზე. პროპაგანდისტებად ხშირად გამოუცდელ და ნაკლებად მომზადებულ ამხანაგებს აყენებდნენ.

მაგალითისათვის ავიღოთ პროპაგანდისტი ამხ. მადლენა მელიქოვა. თვით ამხ. მელიქოვას განცხადებით, იგი თეორიულად სუსტად მომზადებულია. მას არ წაუკითხავს ლენინის ისეთი ნაშრომებიც კი, როგორიც არის „რა ვაკეთოთ?", „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან" და სხვ.

როგორ არის დაყენებული პროპაგანდა ფაბრიკის უპარტიო ინტელიგენციაში?

თუ კომუნისტები და კომკავშირელები წრეებში მაინც იყვნენ „ჩაბმულნი", — უპარტიო ინტელიგენცია, რომლის რაოდენობა ფაბრიკაში 400 კაცს აღემატება, პარტიული პროპაგანდის გავლენის გარეთ იყო დატოვებული. პარტკომი ნაკლებად ზრუნავდა იმისათვის, რომ ფაბრიკაში მომუშავე ინტელიგენტთათვის შეექმნა პირობები დაუფლებოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმს.

ფაბრიკაში არის პარტიული კაბინეტი, რომელიც უფრო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოგვაგონებს, ვიდრე ნამდვილ პარტკაბინეტს. ამ პარტკაბინეტს არა ჰყავს სათანადოდ მომზადებული მეთოდისტები და კონსულტანტები, რის გამო აქ თითქმის სრულებით არ ტარდება თეორიული მოხსენებები, დაბალია კონსულტაციის ხარისხი და სხვ. ჩვენის აზრით, ასეთი პარტკაბინეტის არსებობას ის სჯობს, რომ სულაც არ არსებობდეს.

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ", აშკარა გახდა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა ასეთი კუსტარული გზით შეუძლებელია. ამ ისტორიულ დადგენილებასთან დაკავშირებით ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის წინაშე, ისე როგორც მთელი ჩვენი პარტიის წინაშე, უაღრესად დიდი და სერიოზული ამოცანები დგას.

ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ საფუძვლიანად უნდა გარდაჰქმნას პროპაგანდისტული მუშაობის ფორმები და მეთოდები საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებასთან შეფარდებით. პარტკომმა ენერგიული მუშაობა უნდა გაშალოს იმისათვის, რომ შეუქმნას ფაბრიკის პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს პირობები მარქსიზმ-ლენინიზმის დასაუფლებლად ინდივიდუალური მუშაობისათვის. საჭიროა შემცირებული იქნას არსებული წრეების რიცხვი, პროპაგანდისტებად შერჩეულ უნდა იქნან ყველაზე საუკეთესო, თეორიულად კარგად მომზადებული ამხანაგები, ფართოდ უნდა იქნას შემოღებული თეორიული ლექციების ჩატარება.

დინჯი და აუჩქარებელი, მაგრამ ენერგიული და გადამწყვეტი მოქმედება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის ისტორიული გადაწყვეტილების უკლებლივ ყველა მუხლის განუხრელად გატარებისათვის, — ასეთია ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, მათ რიცხვში ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის პარტორგანიზაციის წინაშე მდგომი უაღრესად დიდი და სერიოზული ამოცანა.

არ. კოკილაშვილი

ავჭალის (თბილისის რაიონი) სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, ვანო შარიქაძე სწავლობს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას.

ფოტო რ. აკოფოვის

მოსკოვის პარტიული აქტივის კრება

22 და 23 ნოემბერს მოსკოვის პარტიული აქტივის კრებამ განიხილა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება: „პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოცემასთან დაკავშირებით". აქტივის კრებას დაახლოებით ორი ათასი კაცი დაესწრო, მოხსენებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თაობაზე — „პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოცემასთან დაკავშირებით" გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის მდივანი ამხ. შჩერბაკოვი.

ამხ. შჩერბაკოვის მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდა 23 ამხანაგი.

ყველა მოკამათე ერთსულოვნად და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოცემა უზრუნველჰყოფს ძირითად გარდატეხას პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების, განსაკუთრებით საბჭოთა ინტელიგენციის კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დაყენებაში და აყენებდა პრაქტიკულ წინადადებებს პროპაგანდის ხელმძღვანელობის საქმის უკეთ მოწყობის შესახებ.

ამხ. შჩერბაკოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მთლიანად და სავსებით იწონებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ამხანაგ **სტალინისადმი.**

(საკ. ინ.).

რა არის ემპირიოკრიტიციზმი

(პასუხი კითხვაზე)

ემპირიოკრიტიციზმი არის XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დასაწყისის რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფიის ნაირსახეობა. ემპირიოკრიტიციზმის ფუძემდებლად ითვლება გერმანელი ფილოსოფოსი **ავენარიუსი** (1843-1896); მანვე პირველად შემოიღო ხმარებაში თვით სახელწოდება „ემპირიოკრიტიციზმი". ეს სახელწოდება, მისი ავტორის ფიქრით, უნდა ყოფილიყო აღმნიშვნელი ყოველგვარი მოგონებულის, დამატებისა და სხვადასხვა გაწმენდილ და კრიტიკულად შემოწმებულ **გამოცდილებაზე** აგებული ფილოსოფიისა. მაგრამ თვით „ცამოცდილება" ავენარიუსს ესმოდა სრულიად სუბიექტურად, იდეალისტურად. საბოლოო ანგარიშში ავენარიუსის აზრით გამოცდილება ნიშნავდა იმასვე, რასაც ადამიანის განცდები, შეგრძნებებს. ასეთსავე შეხედულებებს ქადაგებდა ფილოსოფიაში ავენარიუსის თანამაზრე ავსტრიელი ფიზიკოსი და ფილოსოფოსი მახი (1838-1916), რომლის სახელის მიხედვით წარმოიშვა ამ ფილოსოფიის მეორე სახელწოდება — **მახიზმი.**

ავენარიუსმა და მახმა თავიანთ ნაწარმოებებში ხმამაღლა განაცხადეს, თითქოს მათ აღმოაჩინეს სრულიად ახალი ფილოსოფია, რომელიც ვითომდა უკუაგდებს და სძლევს როგორც მატერიალისტურ, ისე იდეალისტურ ფილოსოფიას. ნამდვილად კი **ახალი** მათ ფილოსოფიაში იყო **მხოლოდ** ტერმინები, სახელწოდებები. ავენარიუსი და მახი შენიღბულად, მოხერხებულად ატარებდნენ **სუბიექტური იდეალიზმის** რეაქციულ და ანტიმეცნიერულ შეხედულებებს, რომლებიც დიდი ხნის წინათ დამსხვრეული და უკუგდებული იყვნენ მეცნიერების მიერ.

სუბიექტური იდეალიზმი სთვლის, რომ ყველაფერი არსებული, ადამიანის გარემომცველი მთელი სამყარო, არსებობს მხოლოდ ადამიანის (სუბიექტის) აზრებში, ცნობიერებაში, ამ თვალსაზრისით მატერიალური სამყაროს ნივთები, საგნები და მოვლენები არ არსებობენ ობიექტურად, ადამიანის დამოუკიდებლად, არამედ, პირიქით, ეიგივებიან ადამიანის შეგრძნებებს, იდეებს. მაგალითად, მაგიდა, ოთახი და სხვ. წარმოადგენენ ადამიანის **შეგრძნებათა** ერთობლიობას, ე. ი. არსებობენ მხოლოდ ადამიანის (სუბიექტის) გონებაში, როგორც მისი **იდეები.** ადამიანმა რომელიც ამ თვალსაზრისს ადგია, **უნდა უარჰყოს ყველა ნივთების, საგნების, მოვლენების, აგრეთვე ადამიანების არსებობა, გარდა საკუთარი თავისა.** სუბიექტური იდეალიზმის შეხედულებებს ქადაგებდა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში ინგლისელი ეპისკოპოსი **ბერკლი** (1684-1753), რომელიც ცდილობდა ამ მოძღვრებით „უკუეგდო" მატერიალიზმი და ათეიზმი (ე. ი. უღმერთობა) და დაესაბუთებინა, გაემართლებინა რეაქცია და კონტრრევოლუცია. სუბიექტური იდეალიზმის **აბსურდობა** და ანტიმეცნიერულობა დამტკიცებულ იქნა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბურჟუაზიული ფილოსოფიის მოწინავე წარმომადგენელთა მიერ.

და აი ამ დიდი ხნის წინათ უკუგდებული შეხედულებების პროპაგანდა გაძლიერებით დაიწყეს ავენარიუსმა და მახმა, შემოსეს რა იგი ახალი ტერმინოლოგიური მოსაკაზმით, ემპირიოკრიტიციზმის ახალი მოდის სამოსელით.

ემპირიოკრიტიციზმი უარჰყოფს მატერიის, ბუნების (ფიზიკური სამყაროს) ობიექტურ, ადამიანებისა და მათი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ, არსებობას.

ემპირიოკრიტიკოსებისათვის ერთადერთ რეალურ ობიექტურ რეალობას წარმოადგენენ ადამიანის **შეგრძნებები.** ცნობიერების საფუძველს—ამბობს ემპირიოკრიტიციზმი (მახიზმი) — წარმოადგენს „გამოცდილება". უფრო ახლო განხილვისას ვხედავთ, რომ ემპირიოკრიტიკოსების გაგებაში „გამოცდილების ელემენტები" არიან ადამიანის შეგრძნებები. ფიზიკური სამყაროს ნივთები და მოვლენები სხვა არა არის რა, თუ არ „გამოცდილების ელემენტები", ე. ი. ადამიანთა შეგრძნებები. ავენარიუსი, მახი და მათი მომდევრები ცდილობდნენ ახალი ტერმინებით დაეფარათ თავისი ფილოსოფიის სუბიექტურად იდეალისტური არსი და ყველანაირი ხერხებით „უკუეგდოთ" დიალექტიკური მატერიალიზმი — მუშათა კლასის რევოლუციური ფილოსოფია.

ემპირიოკრიტიციზმი და მახიზმი XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დასაწყისის ბურჟუაზიათა მოხერხებულ ფილოსოფიურ მოღვაწეობას, რომელიც უპასუხებდა მის მოთხოვნილებებს. ამ ეპოქაში კაპიტალისტური სამყარო შევიდა თავისი განვითარების ახალ ფაზაში — იმპერიალიზმის ეპოქაში. ამ ეპოქაში კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობანი უაღრესად გამწვავდა. კლასობრივმა ბრძოლამ თავისი განვითარების უმაღლეს საზღვრებს მიაღწიეს, ბურჟუაზიული სახელმწიფოს დაცემისაკენ, ხრწნისაკენ, ლპობისაკენ გადაიხარა. თავისი მატონობის იდეოლოგიური განმტკიცებისათვის ბურჟუაზია გაძლიერებით ნერგავს და ავრცელებს ყველაზე რეაქციულ მოძღვრებებს; ყველა საშუალებით ცდილობს ძირი გამოუთხაროს მარქსიზმის რევოლუციურ მსოფლმხედველობას, რომელიც სულ უფრო და უფრო ვრცელდება მუშათა კლასში და მშრომელ მასებში. ემპირიოკრიტიციზმი და მახიზმი ასრულებდნენ ამ ამოცანას.

რუსეთში ემპირიოკრიტიციზმს დაიწყო გავრცელება 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ.

გამარჯვებული რეაქციის, რევოლუციონერების წინააღმდეგ სასტიკი ტერორის და კონტრრევოლუციის შემოტევის პირობებში, სტალინის რეაქციის ეპოქაში ხუცესებასთან, მისტიციზმთან ერთად დაიწყო ემპირიოკრიტიციზმის — მახიზმის ფართო პროპაგანდა და დანერგვა.

იმ დროს ამ მოდურმა რეაქციულმა ფილოსოფიამ გაიტაცა პარტიული ინტელიგენტების ერთი ნაწილი, რომლებიც თავისთავს მარქსისტებად სთვლიდნენ, მაგრამ მტკიცედ არასოდეს არ მდგარან მარქსიზმის პოზიციებზე. მენშევიკები იუშკევიჩი და ვალენტინოვი, აგრეთვე ბოგდანოვი, ბაზაროვი და ლუნაჩარსკი, რომლებიც 1905 წელს ბოლშევიკებს ემხრობოდნენ, ცდილობდნენ თვალთმაქცური, პირფერული მეთოდებით შეეტანათ რეაქციული ფილოსოფია პარტიაში და მუშათა წრეებში.

ეფარებოდნენ რა ფრაზებს იმის შესახებ, რომ ისინი ვითომდა „იცავენ" მარქსიზმს, სურთ მისი „გაუმჯობესება" და სხვ., ეს ორგულები ეწეოდნენ ბრძოლას მარქსიზმის წინააღმდეგ, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ და ქადაგებდნენ მახიზმსა და ხუცობას „მარქსისტების წინაშე იდგა გადაუდებელი ამოცანა — საკადრისი პასუხი გაეცათ ამ გადაგვარებულთათვის მარქსიზმის თეორიის დაბინძურებისა, ჩამოეგლიჯათ მათთვის ნილაბი, გამოეძიებინათ ისინი ბოლომდე, ამგვარად, დაეცვათ მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლები[1]).

ეს ამოცანა შეეძლო შეესრულებინა პროლეტარული რევოლუციის მხოლოდ გენიალურ ბელადს და თეორეტიკოსს ვ. ი. ლენინს. თავის ცნობილ წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ლენინი იძლევა რუსი ემპირიოკრიტიკოსების, — მახისტების და მათი უცხოელი მასწავლებლების — ავენარიუსისა და მახის ულმობელ, გამანადგურებელ კრიტიკას. ამასთან ლენინი ანვითარებს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ძირითად დებულებებს, მარქსიზმის ფილოსოფიას **აჭაყავს** ახალ საფეხურზე, რომელიც შეესაბამება მეცნიერული შეცნობისა და რევოლუციური მოძრაობის უახლეს მონაცემებს.

„მართლაც, ლენინის წიგნი რომელიც წარმოადგენს მარტო კრიტიკას ბოგდანოვისა, იუშკევიჩისა, ბაზაროვისა, ვალენტინოვისა და მათი ფილოსოფოსი მასწავლებლების, — ავენარიუსისა და მახისა, რომლებიც ცდილობდნენ თავის ნაწარმოებებში მოეცათ დახვეწილი და შელამაზებული იდეალიზმი — მარქსისტული მატერიალიზმის დასაპირისპირებლად. ლენინის წიგნი ამასთან ერთად წარმოადგენს მარქსიზმის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის — თეორიული საფუძვლების დაცვას. მატერიალისტურ განზოგადებას ყოველივე ზნიშვნელოვანისა და არსებითისა, რაც მეცნიერებას და, უწინარეს ყოვლისა, ბუნებისმეტყველებას შეუძენია მთელ ისტორიულ პერიოდში, ენგელსის გარდაცვალებიდან იმ დრომდე, როდესაც გამოვიდა ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი"[2]).

„პროპაგანდისტი" № 18-19.

[1]) საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, გვ. 123.
[2]) იქვე, გვ. 124.

აქტიურად შევარჩიოთ პარტიაში სოფლის საუკეთესო ადამიანები

ამხანაგი სტალინი არაერთხელ მიგვითითებდა, რომ კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს პარტიის ხრუნვას სოფლის მეურნეობაზე. კოლმეურნეობებზე გადასვლამ კი არ შეამცირა, არამედ გააღიდა კომუნისტთა პასუხისმგებლობა საკოლმეურნეო მოძრაობის ბედისათვის. სოფლის პარტიული ორგანიზაციების აქტიურ მუშაობას გამარჯვებული საკოლმეურნეო წყობილების პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ლაპარაკია იმაზე, რომ სათავეში ჩავუდგეთ კოლმეურნე მასების პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას, წინ წავწიოთ სოფლად მომუშავე ჩვენი კადრების პოლიტიკური აღზრდა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი დაუღალავად მუშაობს იმისათვის, რათა ყველა სასოფლო პარტიული ორგანიზაცია გახადოს კოლმეურნე მასების ნამდვილ მებრძოლ ხელმძღვანელად, რათა შეჰქმნას კოლმეურნეობებში ბოლშევიკთა მაგარი, პოლიტიკურად მტკიცე ბირთვი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გამუდმებით ადევნებს თვალს სოფლად პარტორგანიზაციების ზრდასა და განვითარებას.

მიმდინარე წლის ივლისში ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა სოფლის პარტორგანიზაციების სუსტი მუშაობა პარტიაში საუკეთესო, კომუნიზმის საქმის ერთგული კოლმეურნეების და კოლმეურნე ქალების, სტახანოველებისა და სტახანოველი ქალების, აგრონომების, მასწავლებლებისა და სხვა მუშაკების მიღების საქმეში. სოფლის პირველადი პარტორგანიზაციების ერთ მესამედზე მეტს მაშინ ფაქტიურად ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული პარტიაში მიღება. პარტიაში მიღების განახლების დღიდან სოფლის პარტორგანიზაციებმა იმ დროისათვის მიიღეს მხოლოდ 27.997 კანდიდატი.

ასრულებდნენ რა ცენტრალური კომიტეტის მითითებებს, საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო კომიტეტებმა და ნაციკომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა უკანასკნელ დროს ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის პარტორგანიზაციების ზრდის საქმეში. ოთხი თვის (ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) განმავლობაში სოფლად მიღებულია პარტიის 49.000 ახალი კანდიდატი. ეს იმას მოწმობს, თუ რა უსაზღვრო ნდობით სარგებლობს ბოლშევიკური პარტია საკოლმეურნეო სოფელში და რა დიდია აქ არმია არაპარტიული ბოლშევიკებისა, რომლებიც გულმოდგინედ ცდილობენ ორგანიზაციულად განამტკიცონ თავისი კავშირი პარტიასთან, შევიდნენ მის რიგებში.

მაგრამ ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ საკმაოდ ვერ გამოიყენა ყველა შესაძლებლობა თავისი რიგების შემდგომი შევსებისათვის. დღემდეც საკმაო რაოდენობით მოიპოვებიან სოფლის პირველადი ორგანიზაციები, რომლებსაც არ დაუწყიათ პარტიაში მიღება. ვორონეჟის ოლქში, მაგალითად, ასეთი ორგანიზაციების რიცხვი დაახლოებით 20 პროცენტს უდრის. კიდევ მეტი, აქ არიან მთელი რაიონული ორგანიზაციები, რომელთაგან თვითეულმა ორი წლის მანძილზე თავის რიგებში მიიღო მხოლოდ რამდენიმე კაცი. კიროვის ოლქის კილმეზისა და პოლომის სასოფლო რაიკომებმა ორი წლის განმავლობაში პარტიის კანდიდატებად სულ რამდენიმე კოლმეურნე მიიღეს.

სოფლის პარტორგანიზაციების ნელი ზრდა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ სოფლად პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში ადგილი აქვს უდიდეს ნაკლოვანებებს, რომ მისი დონე ჯერ კიდევ არ არის მაღალი. ზოგიერთი სასოფლო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები თავს არ იწუხებენ იფიქრონ სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის **შინაარსზე.** ბევრი სასოფლო პარტორგანიზაცია და რაიკომი კვლავ იჩენს კომუნისტთა, უპარტიო აქტივის, ინტელიგენციის ბოლშევიკურად აღზრდის ამოცანის შეუფასებლობას. სასოფლო ორგანიზაციებსა და რაიკომებს ჯერ კიდევ არ გამოუყვანიათ ყველა დასკვნა ამხანაგ სტალინის მითითებებიდან, რომ საზიანოა სამეურნეო კამპანიებით ცალხმრივი გატაცება. ყურადღებას აქცევენ რა მანქანებს, თესლს, სხვადასხვა სამეურნეო საქმეებს, სასოფლო პარტორგანიზაციები ხშირად სრულიად არ არიან დაინტერესებული ადამიანებით, მათი განწყობილებებითა და მოთხოვნილებებით, არ ეწევიან მათ შორის პოლიტიკურ მუშაობას. ისინი ივიწყებენ, რომ „თვით სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე" (სტალინი).

საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში ყველაზე შესანიშნავი არის ახალი კადრების არაჩვეულებრივად სწრაფი დაწინაურება. გამოიზარდნენ სოციალისტური მიწათმოქმედების ათასობით ნიჭიერი ორგანიზატორები, რომლებმაც საკოლმეურნეო წყობილების მტრებთან ბრძოლაში დიდი პოლიტიკური სკოლა გაიარეს. გაიზარდა ჩვენი, საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც ხელმძღვანელობს მეურნეობას, რომელიც წარმოადგენს სოფლად პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა გამტარებელს. სასოფლო პარტიული ორგანიზაციების გარშემო შემოკრებილია ათასობით და ათიათასობით შესანიშნავი ადამიანები, რომლებმაც თავისი ერთგულება დაუმტკიცეს პარტიას საქმით, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული მუშაობით. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ

ჟანახლებული კოლხიდა

კოლხიდმშენის მოწინავეები: მარცხნიდან - მარჯვნივ: ა. რუხაია (მიწისმთხრელ მანქანის მაგირმეისტერი), ბ. წოწორია (სახერხი ქარხნის სტახანოველი), ე. ჩიქვანაია (აგრონომი), ნ. ძიუბა (მიწის მთხრელთა ბრიგადირი), მ. მანიუკოვა (სტახანოველი ქალი), გ. ჯაფარიძე (ინჟინერი), გ. პერცევი (მიწის მთხრელთა ბრიგადირი), ა. ცომაია (ქარხნის დირექტორი).

ციფრები, ფაქტები

კოლხიდის დაბლობის მთელი მასივიდან ამჟამად უკვე ამოშრობილია 17.000 ჰექტარამდე ფართობი. გაკეთებულია გზა 66 კილომეტრი. მდინარეების მოზვინვა შესრულებულია მდინარე ხობის მარცხენა ნაპირზე 25 კილომეტრის მანძილზე. სულ კი დამთავრებული და აგებულია 150 კილომეტრზე მეტი საცავი მიწაყრილები, რომლებიც წყალდიდობის დროს წალეკვისაგან დაიცავენ 30 ათასამდე ჰექტარ ფართობს. ამ წლის ბოლოს დამატებით ამოშრობილი იქნება 800 ჰექტარი, ხოლო 1939 წლის გაზაფხულზე — 8.000 ჰექტარი ფართობი. მთელ ამ ფართობზე გაყვანილია საწრეტი ყველა ქსელი — 10 მაგისტრალური არხი 100 კილომეტრზე მეტი საერთო სიგრძის, 40-ზე მეტი კოლექტორი 600 კილომეტრამდე სიგრძის. ახლა მიმდინარეობს გზების მშენებლობა და სხვ.

კალმატაციით ანუ წყლის მიშვებით ფოთის მახლობლად, პალიასტომისაკენ 1939 წლისათვის კულტურების ასათვისებლად უკვე მიღებულია 3.200 ჰექტარი ფართობი, სადაც ლამით ნიადაგი ამაღლებულია 1,5 მეტრამდე. აქ ახლო ხანში მოეწყობა საწრეტი არხები და დაიწყება კულტურების გაშენება.

კოლხიდის პირველი რიგის სამუშაოებით გათვალისწინებული არხებისათვის უკვე ამოღებულია 1.900.000 კუბ. მეტრზე მეტი მიწა, ხოლო საერთოდ შესრულებული მიწის სამუშაოთა მოცულობა დაახლოებით 8 მილიონ კუბ. მეტს აჭარბებს. ევკალიპტი დარგულია 22 კილომეტრი გზის გასწვრივ. ტელეფონი გაყვანილია 22 კილომეტრზე. უშუალოდ სამუშაოთა ადგილზე მუშებისათვის აგებულია სპეციალური სახლები. მთავრდება სპეციალისტთა შენობა ფოთში, რომელიც ჯდება 1250.000 მანეთამდე. მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე ყოველწლიურად იხარჯება 60.000 მანეთზე მეტი. ამოშრობილ მიწებზე უკვე დასახლებულია 340 ახალი მეურნეობა და სხვ.

ამჟამად მდინარეების მოზვინვის შედეგად წყალდიდობისაგან დაცულია 7.700 კომლი. კოლხიდის ახლად ამოშრობილ ფართობებზე გაშენებულია ციტრუსები 685 ჰექტარზე, აქედან ლიმონი—145 ჰექტარზე, გრეიპფრუტი — 73, ფორთოხალი—9, მანდარინი—458 ჰექტარზე. გარდა ამისა, რამი გაშენებულია 500 ჰექტარამდე, ევკალიპტი—1.100.000 ძირი და სხვ. სულ კოლხიდაში სხვადასხვა ძვირფასი კულტურები გაშენებულია 1.760 ჰექტარზე მეტი. აქედან მარტო უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში გაშენდა 1.000 ჰექტარამდე ძვირფასი ნარგავი.

კოლხიდის მშენებლები

ალექსი რუხაია

ერთხელ ადიდებულმა რიონმა დიდი ექსკავატორი „საბჭოთა საქართველო“ მოიტაცა და ხიდისაკენ გააქანა. ბაგირმეისტერი **ალექსი რუხაია** შეძრწუნდა: „ცემი დაეჯახება ხიდს. დაამტვრევა და დაამტვრევს. ვაიმე ზარალო, პატიოსანო სახელო! ეს როგორ მოუვიდა მას, 30 წელიწადი რომ ზღვაზე მუშაობს?..“ ტალღა ღმოუდა, გემი ჭრიჭინებდა, ხიდამდე დარჩა 50 მეტრი. რუხაიას სისხლი აუვარდა თავში. მეზღვაურები განწირულებივით უყურებდნენ რუხაიას, ხიდს, გემს, რიონს, ზღვას.

უცებ რუხაიამ თვალი მოჰკრა გემის კბილანა ჩაფებს. ეს ჩაფებია რომ ღრღნის ჭაობს. „ჩაუშვით ჩაფები, — დასჭექა რუხაიამ, — მაგრად, ბიჭებო“... აგუგუნდა მანქანა, დაირაჩხუნა ჩაფებმა. ჩაფები ჩასწვდა მდინარის ფსკერს და გაჩერდა გემი... ასე იხსნა ალექსი რუხაიამ ძვირფასი გემი.

ალექსი რუხაია 50 წლისაა, სტახანოველია. ამ წლის გეგმა სამი თვით ადრე შეასრულა. ბევრჯერაა დაჯილდოვებული, მისი სიტყვით, მისი საუკეთესო ჯილდოა ის, რომ „აკეთებს ახალ მიწას“. — წინათ აქ მგელი სწამდა ხალხს, ახლა კი ხალხი სწამს მანდარინს, — ოხუნჯობს იგი.

ანდრო ცომაია

„იუნკერსის“ მანქანის ძრავის მასრა გერმანიაში კეთდება, ბევრი ოქრო წაუღიათ გერმანელებს მის ფასად. ერთხელ მასრა გატყდა. მანქანები უნდა გაჩერებულიყო. „თუ გერმანელები აკეთებენ, რატომ ჩვენ არ უნდა გავაკეთოთ?“ სთქვა ახალგაზრდა ინჟინერმა **ანდრო ცომაიამ**. „ფოლადი უნდა დაიმორჩილოს ბოლშევიკმა“ და შეუდგა საქმეს. ორი თვის დაძაბული მუშაობის შემდეგ მასრა გაკეთდა. ინჟინერი დაჯილდოვეს. ამხ. ცომაია სულ რამდენიმე თვეა. რაც ქარხნის დირექტორად დანიშნეს. ქარხანა ჩამორჩენილი იყო. ახლა ქარხანა გეგმას 202 პროცენტით ასრულებს. 46 მუშიდან 37 სტახანოველია.

ამხ. ცომაია ღარიბი ოჯახიდანაა, ობოლი დარჩა მშობლებს, საბჭოთა მთავრობამ გამოზარდა. ამხ. ცომაია პარტიის წევრობის კანდიდატია, აგიტატორი. 29 წლისაა. მას ფართო გზა უდევს წინ.

გიორგი ჯაფარიძე

ერთ დღეს კოლხიდის ჭაობში ორი ინჟინერი ედავებოდა ერთმანეთს — გიორგი ჯაფარიძე და გალინა სერბინა. ინჟინერი ქალი ამტკიცებდა: არხის პირიდან ყრილი ერთი მეტრით უნდა იყოს დაშორებული, შენ კი 20 სანტიმეტრი გაკლიაო. ჯაფარიძე უმტკიცებდა, ყრილი წვიმამ ჩამორეცხაო. დავაში კომისია ჩაერია და ინჟინერები მოარიგეს. ინჟინერებმა ერთმანეთს გაუღიმეს. ამ დავის მოწმე კომისია და მუშებიც იღიმებოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ინჟინერი სერბინა ინჟინერ ჯაფარიძის ცოლი იყო.

ინჟინერი ჯაფარიძე გულმტკივნეული და თავდაბალი ადამიანია. სტახანოველია, მზრუნველი ხელმძღვანელი. მის უბანში ხალისიანად მუშაობენ.

ეგორ პერცევი

ყოფილი წითელარმიელი, კომკავშრომელი ეგორ პერცევი ბრიგადირია, მის ბრიგადაში ბევრია ყოფილი წითელარმიელი. ბრიგადაც სტახანოვურია. ხასანის ამბები ბრიგადამ სამუშაოზე შეიტყო. კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპები ძვირფასი სამშობლოს საკეთილდღეოდ. დეკადის გეგმა 300 პროცენტით შეასრულეს. აუხ. პერცევი უმცროსი მეთაურია. დისციპლინა და სამშობლოს სიყვარული წითელი არმიიდან გამოჰყვა მას.

ახალმოშენე გლეხები

ფოთის ახლოს 5 კილომეტრის მანძილზე ახალშენია გამართული. ამოშრობილ ჭაობზე კოლხიდმშენმა ლამაზი სახლები დაუდგა ახალმოშენე გლეხებს.

აი **მელიტონ სილოგავა** — სად არ ყოფილა! იმპერიალისტურ ომში, მენშევიკებთან ბრძოლაში. რა არ გადაუხდია თავს, მაგრამ ნამდვილი ცხოვრება ახლა დაიწყო. მხიარული კაცია. „ცხოვრება ახლა მიწდა, ადამიანი ახლა გავხდიო,“ — ამბობს იგი. ცოლშვილიანად მუშაობს კოლექტივში. „ცოლშვილიანადვე დავიცავ ჩვენს ქვეყანას და ამ ბედნიერ ცხოვრებასო“, — ამბობს იგი. — „რომელი კომკავშირელი გამასწრებს, თუ თოფის აღება იქნა საჭირო, თვალი დაუდგეს, ვინც ეს ცხოვრება არ დაუფასოსო“. ამხ. მელიტონის აზრი კოლხიდის მშენებელთა აზრია.

ი. რანჭანი

კოლხიდმშენის მუშაკთა ერთი ჯგუფი. სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: ნ. ი. გუჯაბიძე (ინჟინერი), ა. ბირკაია (მთ. ინჟინერი), მ. მაჭავარიანი — ინჟინერი). დგანან: რ. პაპისოვი (საცდელი სადგურის დირექტორი), მ. შუბლაძე (სამუშაოთა მწარმოებელი), მ. ანანიევი (ინჟინერი).

ფოტო ი. რიშკოვისა („სოიუზფოტოს საქ. განყ).

საყოველთაოდ ცნობილია იმ სამუშაოთა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, რომლებიც ამჟამად ტარდება კოლხიდის დაბლობის ამოსაშრობად. ეს დაბლობი მომავალში უნდა გახდეს უმნიშვნელოვანეს ბაზად ჩვენი ჩაის, ციტრუსებისა და სპეციალური და ტექნიკური კულტურების სხვა პლანტაციების შემდგომი გაფართოებისათვის.

ლ. ბერია

სუბტროპიკული კულტურები

ორდენოსანი საქართველოს სოფლის მეურნეობას სულ ახალი და ახალი ფართობები ემატება. დიდი **სტალინის** მითითებათა შესაბამისად საქართველოს მშრომელმა ხალხმა, საუკეთესო სტალინელის ამხანაგ **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით, კოლხიდის ჭაობებს უკვე გამოსტაცა 17.000 ჰექტარამდე საუკეთესო ნოყიერი ნიადაგები. ნაცვლად დამპალი, შმორიანი წყლისა და ჰავისა, ჭაობიანობისა, მწეროთა და ქვეწარმავალთა სამეფოდარისა, სადაც განუწყვეტლივ „იყო ვაება, სევდა უძირო და თავის დახსნის უგზო ძიება“... სადაც „შავი სიკვდილი კრიალა ცელით მხარეს თავს ადგა, როგორც ჯალათი“, საამურად ჰყვავის — ნარინჯოვანთა ხეები, ძვირფასი ჯიშის ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, იაპონური ზღმარტლი — მუშმულა. მშვენივრად იზრდებიან ევკალიპტი, რამი, ტუნგო, ჩაი, ფეიხოა, დაფნა, მაგნოლია, ბროწეული, ლეღვი, კაკალი, თხილი, იაპონური ხურმა, ყვავაროსი, კრიპტომერია და სხვა მრავალი.

მშრომელთა მარჯვენამ კოლხიდის უზარმაზარ ფართობზე გააქრო ჭაობი და მიწას ძვირფასი კულტურებისათვის მისაწვდომი სახე მისცა. ციტრუსები 685 ჰექტარზე, მათ შორის ლიმონი 145 ჰექტარზე, რამი 500 ჰექტარზე და სხვ. უკვე გვაძლევენ მოსავალს.

ლიმონისა და მანდარინის თვითეულმა ხემ ფოთში წელს 500-მდე ნაყოფი მოგვცა, გრეიპფრუტმა — 160-მდე, ფეიხოამ — 100-ზე მეტი.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ახლო მომავალში ციტრუსთა ფართობი კოლხიდაში აყვანილ იქნება 9.670 ჰექტარამდე, რამი გაშენდება 2.130 ჰექტარზე მეტი, ევკალიპტი ტყედ, ქარსაფარად, ბაღებისა და პარკების მოსაწყობად — 3.780 ჰექტარზე, ლიმონის ევკალიპტი—994 ჰექტარზე, დაფნა — 130, სუბტროპიკული ხეხილი (იაპონური ხურმა, მუშმულა, ფეიხოა, და სხვ.)—1.254, ევროპული ხეხილი — 1.012, ჩაი—535, ბამბუკი — 245, თუთა აბრეშუმისათვის—868 ჰექტარზე და სხვ.

კოლხიდის დაბლობებში დაგროვილია ჰუმუსიანი მეტად სქელი და ადვილად დასამუშავებელი ლამიანი ფენები. ეს ნიადაგები მეტად მდიდარია საზრდო მასალებით და საუკეთესო შედეგებს იძლევიან. მაგალითად, „კოლხიდმშენის“ ბაღში წელს ევკალიპტმა 3 მეტრზე მეტი აღწია და მოგვცა. მანდარინის 3-წლიანი ხეები სიმაღლით თითქმის 2 მეტრამდე აღწევენ. პატარა ფოთის კოლმეურნეობაში ჰექტარზე 200 ფუთამდე სიმინდი მოიწიეს.

მცენარეთა საუკეთესო განვითარების შესაძლებლობა, ნიადაგის ათვისების სიადვილე, რბილი ზომიერი ჰავა — ყველაფერი ეს საუკეთესო საშუალებას იძლევა კოლხიდის დაბლობებში გავაშენოთ რაც შეიძლება მეტი ციტრუსი, ევკალიპტი, დაფნა, ჩაი, რამი, ტუნგო და სხვა სუბტროპიკული მცენარეები. „ყველა ეს ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლებიც ესოდენ საჭიროა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოსათვის, კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობისა და შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ“. (ლ. ბერია).

ტრ. თოდრაძე

ფოთი. საბჭოთა მეურნეობის „გრეიპფრუტის“ აგროტექნიკოსი ლ. მურვანიძე (მარჯვნივ) და სტახანოველი ქალი ა. ზუბკოვა ათვალიერებენ გრეიპფრუტის მწიფე ნაყოფს.

ფოტო ი. რიშკოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ)

რა აარის, რა უნდა გაკეთდეს

კოლხიდის დაბლობები, რომლებიც ამოშრობილ უნდა იქნას, 220.000 ჰექტარს უდრის და მდებარეობს ქ. ფოთის მიდამოებში, აგრეთვე ხობის, ცხაკაიას, აბაშის, ზუგდიდის, გალის, ოჩამჩირის, ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონებში. გეგმის მიხედვით, ეს ფართობი დანაწილებულია 3 რიგად. პირველი რიგი, რომლის ამოშრობა ახლა მიმდინარეობს, შეადგენს 50.965 ჰექტარს და მას უჭირავს შავი ზღვიდან აღმოსავლეთით მდ. რიონის მარჯვენა ნაპირი, აღწევს მდ. ცხენის წყლამდე და ჩრდილოეთით —მდ. ხობამდე. მეორე უბანი, ანუ მეორე რიგის სამუშაოები შეადგენს 60.000 ჰექტარს.

გეგმით პირველი რიგის ფართობების ამოშრობა დამთავრდება 1942 წელს, მეორისა—1947 წელს, ხოლო მესამისა—1957 წელს.

1938 წლიდან 1940 წლამდე გათვალისწინებულია მდინარეების მოზვინვა 5.000.000 კუბ. მეტრი მიწით, რაც დაჯდება 21.300.000 მანეთამდე. გარდა ამისა, პირველი რიგის სამუშაოებზე, 1942 წლის ჩათვლით, 2.000 კილომეტრზე საწრეტი არხების მოსაწყობად ამოღებულ იქნება 6.800.000 კუბ. მეტრი მიწა. ეს სამუშაო დაჯდება 44 მილიონ მანეთამდე. ამავე ვადაში 400 კილომეტრზე გაყვანილი იქნება გზები, გაკეთდება 500-მდე რკინა-ბეტონის ხიდი და გზების გასწვრივ ორ მწკრივად დაირგება ევკალიპტი. ყოველივე ეს დაჯდება დაახლოებით 31 მილიონი მანეთი. ამას გარდა, ნოსირის წყაროებიდან მილებით სასმელი წყლის გასაყვანად 180 კილომეტრზე დაიხარჯება 11 მილიონი მანეთი.

პირველი რიგის სამუშაოთა ფარგლებში სატელეფონო ქსელის მოსაწყობად გათვალისწინებულია 330.000 მანეთის დახარჯვა, მალარიის წინააღმდეგ პროფილაქტიკურ ზომებზე—1.500.000 მანეთისა.

სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით გზებისა და არხების გაყვანისა და სხვა სამუშაოთა გამო მცხოვრებთა გადასახლებაზე დახარჯული იქნება 1.300.000 მანეთი, ხოლო არქეოლოგიურ კვლევაძიებითი სამუშაოებზე—100.000 მანეთი. მოწყობილი არხების ქსელის მოსავლელად და შესაკეთებლად გათვალისწინებულია 3.600.000 მანეთი, მუშა-მოსამსახურეთა ბინებისათვის—9.700.000 მანეთი და სხვ.

როდიონ ქორქია

კოლხიდა

წარსულის ფოლიანტები

კოლხიდა ლეგენდარული ქვეყანაა. შეუძლებელია კოლხიდაზე იფიქრო და ყაჩაღი არგონავტები, ოქროს ვერძი, აეტი, იაზონი, მედეა არ წარმოგიდგენენ თვალწინ. ოქროს ვერძის ლეგენდას მტკიცე ეკონომიური საფუძველი აქვს. ძველად კოლხიდაში ოქრო მოიპოვებოდა. ოქრონარეკ სილას ცხვრის ტყავზე რეცხდნენ. სილა წყალს მიჰქონდა, ოქრო ტყავზე რჩებოდა. აქედან წარმოიშვა ოქროს ვერძის მითი.

კოლხიდაში სხვა ბევრი სიმდიდრეც იყო. საბერძნეთისა და რომის ძველი მწერლები და მოგზაურები კოლხიდის სიმდიდრეს დაწვრილებით აგვიწერენ. აქედან გაჭქონდათ ოქრო, ბზა, კანაფი, წაბლის ხე, ფისი, ხილი, გემსაშენი მასალა. კოლხიდაში მუშავდებოდა მთელს ძველ მსოფლიოში განთქმული სელის ტილო. ბევრი მტერი მოსულა კოლხიდაში: სკვითები, ბერძნები, რომაელები, ბიზანტიელები, ირანელები, არაბები, თათრები, თურქები. მოდიოდნენ შემართული ხმლით და მიდიოდნენ დალეწილი მუზარადებით. ხალხს სწამდა თავისი ძალა და უყვარდა თავისი სამშობლო...

ყვითელი მახრჩობელა

მაგრამ იყო ერთი მტერი, რომელსაც ვერ უმკლავდებოდა ხალხი. ეს იყო ციება და ჭაობი. ჯერ კიდევ ბერძენი მწერლები აღნიშნავდნენ, რომ კოლხიდაში საშინელი ჭაობი არისო. არ შეიძლება გვერდი აუაროთ ბერძენ მწერალს ჰიპოკრატეს. 2500 წლის წინათ ის სწერდა: „კოლხიდა ცნობილია ჭაობით, ცხელი ქვეყანაა, ნესტიანი, წყლიანი. სახლებს აკეთებენ ხისას და უბრალოს. აქვთ ნავები. აქაური ლი ცუდია და მყრალი... კოლხიდაში ჰქრის საშინელი ქარი „კენხრონი“, რომელსაც მოაქვს ავადმყოფობა, ჰაერი გაჟღენთილია სიდამშლის სუნით“.

ამ საშინელ ჭაობს ვეებერთელა ადგილი ეჭირა. იგი გაჭიმულია შავი ზღვის პირად, აჭარიდან აფხაზეთამდე, 220.000 ჰექტარზე. წინათ ამ ალაგს ზღვა იყო. ეს ზღვა შავი ზღვის უბეს წარმოადგენდა და ძველ მწერლობაში სარმატის ზღვადაა ცნობილი. ეს ზღვა კოლხიდის მდინარეებმა ამოსილეს. საქმე ის არის, რომ კოლხიდის მდინარეებს უამრავი შლამი მოაქვთ. თანამედროვე კოლხიდის ინჟინრების გამოთვლათაშებით, მარტო რიონს მოაქვს წელიწადში 10 მილიონი 750.000 ტონა შლამი. ეს შლამი ირიყება ზღვის პირას და თანდათანობით უკუაქცევს ზღვას. ამნაირად სწარმოებდა საუკუნეების განმავლობაში საინტერესო გეოლოგიური ბრძოლა კოლხიდის მდინარეებსა და შავი ზღვას შორის და ამ ბრძოლაში დამარცხდა ზღვა. მაგალითად, 552 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბერძენი მწერალი სკილაქსი სწერდა: ცხენის წყალი შავ ზღვას 33½ ვერსით არის დაშორებულიო. ათასი წლის შემდეგ მეორე მწერალი სტეფანე ბიზანტიელი სწერდა: ცხენის წყალი შავ ზღვას 52 ვერსით არის დაშორებულიო... ამჟამად, ე. ი. კიდევ ათას ხუთასი წლის შემდეგ, ცხენის წყალი შავ ზღვას დაშორებულია 60 ვერსით (64 კილომეტრით).

მეორე მაგალითიც. ფოთის ციხე-კოშკი აშენდა 1578 წელს. მაშინ კოშკი ზღვის პირას იდგა. ახლა კოშკი შავი ზღვიდან 2667 მეტრითაა დაშორებული, ე. ი. ყოველწლიურად კოლხიდის მდინარეების საშუალებით კოლხიდის მიწას ემატება 6,6 მეტრი ახალი მიწა.

არავინ იფიქროს, რომ კოლხიდის მდინარეები ამ შესანიშნავს თვისებას ბოლომდე ინარჩუნებენ. იგივე რიონი ბარბაროსული მდინარეა. წყალდიდობისას იგი წალეკავს მიდამოს ათეული კილომეტრის მანძილზე, მოარღვევს ნაპირებს, გაანაგებს ნათესს, ჭირნახულს, მილეწმოლეწავს სოფლებს.

რადგან კოლხიდის დაბლობი შლამისაგან გაჩნდა, მას დამრეცობა არა აქვს. იგი თითქმის ზღვის დონეს უსწორდება, ზოგან ზღვაზე დაბლაცაა. ამიტომ კოლხიდის მდინარეებს ზღვაში შესვლა უძნელდებათ. რიონი ღონიერია, წყალმრავალი და შედის ზღვაში, თუმცა ზანტად. პატარა მდინარეები ვერ ახერხებენ ზღვაში შესვლას, რადგან ზღვა გარშემორტყმულია დიუნებით. ეს მდინარეები მივლენ ზღვასთან და შეჩერდებიან. მათ არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ, ამიტომ კოლხიდაში მათ პარაზიტი მდინარეები უწოდეს. ასეთი პარაზიტი მდინარე კოლხიდაში 60-ია. ეს პარაზიტები და რიონიდან გადმოღვრილი წყალი აჩენს ჭაობს.

ჭაობის გაჩენას და დამკვიდრებას წვიმაც უწყობს ხელს. კოლხიდაში ხშირი და კოკისპირული წვიმა იცის. აქ წელიწადში 130 ღრუბლიანი დღეა. საშუალო წლიური ნალექი 1660 მილიმეტრია. ფოთში 178 დღე წვიმიანია, ცხაკაიაში — 129, ხობში—147. ეს უამრავი ნალექი რჩება მიწაზე და აჭაობებს მას.

ჭაობი საზარელი სანახავია. მას ლურჯ-ყვითელი ფერი დაჰკრავს —მიხრწნილი მიცვალებულის ფერი. ჭაობში ბუდობს კოღო. კოღო აჩენს ციებას. ფოთის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით, წინათ კოლხიდაში მოსახლეობის 80 პროცენტი ციებით იყო დაავადებული. ციებიანი ადამიანი მოდუნებულია, ყვითელი, უხალისო. ციება ყოველი ავადმყოფობისა და ჭირის ძირია. კოლხიდაში ციება ემართებოდა საქონელსაც, ფრინველსაც. ციებისაგან დაშინებულმა ხალხმა ასეთი ანდაზაც კი შეჭქმნა: „ხეც გახმება, რომ გააციებს“...

ციება ყვითელ მახრჩობელასავით შემოხვეული იყო ხალხის კისერზე და საუკუნეების განმავლობაში სისხლს სწოვდა მას..

და არ იყო ძალა, რომ შებრძოლებოდა ამ ყვითელ გველს. ციებისაგან გაყვითლებული, განაწამები ხალხი ღრუბლიან დღეს წარმართივით შესთხოვდა მზეს:

მზეო, ამოდი, ამოდი,
გაქმევ ყველსა და ჯადსაო,
მზეო ამოდი, ამოდი,
ზუარი გამითბე ცივიო...

მაგრამ მზე არ მოდიოდა და ხალხი ვერ იშორებდა ყვითელ მახრჩობელას...

ოქტომბრის მზე

ჭაობში მზემ მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შეანათა.

კოლხიდის ჭაობში იდგა ხშირი და უდაბური, ლიანებით გადახლართული ტყე. ამ ტყეში მზე არ ატანდა. სიბნელით იყო მოცული ყველაფერი. ხალხს სწამდა, რომ აქ ცხოვრობდა ოჩოკოჩი, ტყის დედოფალი, ჭინკები და უჟმური. აქ იხრჩობოდა კამეჩი, ცხენი, ხარი, ადამიანიც კი. აი, ამ უსხივო, ბნელ და მყრალ ჭაობში შემოანათა ოქტომბრის მზემ.

კოლხიდის ჭაობის ამოშრობის საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლებშივე დაისვა. მაშინვე შეუდგნენ ამოშრობას. მაგრამ ჭაობზე გენერალური შეტევის წლად 1932 წელი უნდა ჩაითვალოს. ამ წელს შეიჭრნენ ბოლშევიკების მეთაურობით კოლხიდელი ენტუზიასტები ათას წლობით დამყაყებულ ჭაობში ექსკავატორებით, ტრაქტორებით, მანქანებით, გემებით. ამ მკვდარ მიწაში, ყვითელი მახრჩობელის სამეფოში, დამყაყებულ და აშმორებულ ქაოსში პირველად გაისმა ძლიერი ყიჟინა „სიკვდილი ჭაობს“!

და იქ, საიდანაც ჩიტი კურკანტელს ვერ გამოიტანდა, ბოლშევიკური სიმღერა და მანქანის გუგუნი გაისმა.

იყვნენ სკეპტიკოსებიც. ისინი თავის ქნევით ამბობდნენ:

— ეს მკვდარი მიწაა. დაწყევლილი მიწა. აქ ჩაეფლობიან ბოლშევიკები... მაგრამ ბოლშევიკურმა პარტიამ და მის ირგვლივ დარაზმულმა ხალხმა გასჭრეს არხები, გააშენეს დამბები, გაკაფეს ტყეები, გაიყვანეს გზები, მიიტანეს ახალი სიტყვები „კალმატაცია“ და „რეფულორი“ და ამოაშრეს ჭაობი.

ხალხი თვალდათვალ ხედავდა, როგორ ჭქმნიდნენ ბიბლიური ქაოსიდან ახალ მიწას ბოლშევიკები.

აი, არხებიდან დაშრობა: ჭაობის შუაგულს გაავლეს 45 კილომეტრიანი არხი და შეუერთეს ზღვას. ამ არხში ყოველი 200 მეტრის მანძილზე შედის პატარ-პატარა არხები და ამ არხებში იწრიტება ჭაობის წყალი. მთავარ არხს უწოდეს დედაარხი.

აი კალმატაცია. ეს მეტად საინტერესო მოვლენაა. კალმატაცია იმას ნიშნავს, რომ წყლით ჭაობი ამოაშრო. ეს პარადოქსია, მაგრამ უბრალო ხერხია. რიონის შლამიან წყალს მიუშვებენ ჭაობის განსაზღვრულ უბანზე. მიწა რჩება ჭაობში, ზვინავს მას, წყალი კი შორდება შლამს და მიდის. ჭეშმარიტად „წყალნი წავლენ... ქვიშანი დარჩებიანო“... ამ ხერხით უკვე რამდენიმე ათასი ჰექტარია დაშრობილი. ხოლო მომავალი წლისათვის ამოშრობილი იქნება 9.000 ჰექტარამდე.

განსაკუთრებით საინტერესოა რეფულორება. აი, დგას ექსკავატორი. მის გვერდით დგას მიწით სავსე კარპაჟი. კარპაჟიდან რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე გაყოლებულია მილები. ექსკავატორიდან კარპაჟში მიუშვებენ ძლიერ ზზეფს. აირევა მიწა და წყალი. ეს წყალმარევი მიწა შედის მილებში და მირბის ჭაობში. თქვენს თვალწინ გარბიან ბაყაყები, გველები, ჭიები, წურბელები და ათასნაირი სიბინძურე აშმორებული ჭაობისა და ჩნდება ახალი მიწა. შეგიძლიათ შედგეთ ზედ და დარწმუნდეთ, რომ ჭაობში მოხდა რევოლუცია, რომ მოვიდა ახალი ხალხი, დიდი ოქტომბრის ხალხი და შეჭქმნა ახალი, საბჭოთა მიწა...

ამნაირად შექმნილია 17.000 ჰექტარი ახალი მიწა.

„წინათ მუშაობა კოლხიდის ამოსაშრობად გაფანტულად და ნაწილ-ნაწილ სწარმოებდა, რაც სათანადო ეფექტს არ იძლეოდა. მას შემდეგ, რაც ამხანაგმა **სტალინმა** მიგვითითა ამ დეფექტზე, ჩვენ მუშობა სხვანაირად წარვმართეთ“,— ამბობდა ამხანაგი **ლ. ბერია** საქ. კ. პ. X კრილობაზე.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის დავალების შესასრულებლად კოლხიდაში ხშირად ჩამოდიოდა ამხანაგი ლ. ბერია. ის შედიოდა ჭაობში, ულრან ტყეში, ეცნობოდა სამუშაოებს, ამხნევებდა ჭაობთან მებრძოლ ხალხს და უნერგავდა გამარჯვების იმედს. „კოლხიდმშენის“ მთელი კოლექტივი და ფოთის მშრომელები დაძაბულად იბრძვიან, რომ დროზე და პირნათლად შეასრულონ დიდი ბელადის დავალება.

ახალი მიწა და ახალი სიცოცხლე

კოლხიდაში სუბტროპიკული ჰავაა. 17.000 ჰექტარი ახალი მიწა იმას ნიშნავს, რომ ჭაობი დაძლეულია. ახლა კოლხიდის პრობლემაზე როდია ლაპარაკი, არამედ ახალ მიწაზე, ახალი ცხოვრების მოგვარებაზე. ამ 17.000-ს გაისად 9.000 მოემატება. ორ-სამ წელში კიდევ 24.000 ჰექტარი. დღეს მთელი ეს ფართობი დასერილია არხების ქსელით, დამბებით, გზებით და ტყეში შეჭრილი კოლექტორებით. დღეს რიონი და ხობი, ცივა და ტეხური შეკრულია ძალალი, ღრმა და განიერი დამბებით. ერთი ამ დამბათაგანი იცავს ფოთს, რომელიც წყალდიდობის დროს წელამდე წყალში იდგა. ამ დამბების სიგრძე 146 კილომეტრს უდრის. ამოშრობილ ფართობზე გაყვანილია გზები. ამ გზების სიგრძე 66 კილომეტრს უდრის. ტყე და ჭაობი დახლართულია არხებით. ამ არხების ქსელი 1212 კილომეტრს უდრის. უნდა გვახსოვდეს, რომ აქ, კოლხიდაში, ციფრი მარტო რაოდენობის მაჩვენებელი როდია. 66 კილომეტრი გზა ნიშნავს იმას, რომ დღეს საბჭოთა ადამიანი ავტომობილით დაჰქრის იქ, სადაც გეოლოგიური წარსულიდან იყო შმორი, მზეს მიწა არ ენახა და მხოლოდ ხაია, კოთხოჯი, ლაქაში, წურბელა, ბაყაყი და კოღო ცხოვრობდნენ. 66 კილომეტრი გზა ნიშნავს იმას, რომ ბოლშევიკებმა სძლიეს ჭაობს და ააშენეს ახალი ცხოვრება...

იყო კოლხიდაში ყველაზე საშინელი და დამპალი ალაგი ყორათი. ყორათისკენ გახედვისაც კი ეშინოდა ხალხს. „იქ უჟმური ზისო“, აშინებდნენ ბავშვებს.

ახლა ყორათში ელექტრონი ანათებს, არის კლუბ-სამკითხველო, აბანო, ათწლედი, გარაჟი, საბავშვო ბაღი, ხარობენ ციტრუსები და ცხოვრობს 200 ახალი მოსახლე. ნახევარი ამ მოსახლეობისა არავის მოუწყვია. ისინი სტიქიურად მოაწყდნენ სწორედ ყორათს და ჩინებული სოფელი გამართეს. საინტერესოა ერთი დეტალი — მოხერხება ზოგიერთი გლეხისა. ჩამოდიან ახლო მახლო რაიონიდან გლეხები და შიგ ჭაობში ან ჭაობის პირას რის ვაი-ვაგლახით დგამენ ოჩაფეხა სახლებს. გლეხებმა იციან, რომ ჩქარა აქ გაივლის საბჭოთა მანქანა, გაიტანს ჭაობს და დასტოვებს ჯანსაღ მიწას.

„კოლხიდმშენი“ ახალ მიწაზე გეგმიანად ასახლებს ხალხს. უფასოდ აძლევს მიწას და თავისი ხარჯით გადმოჰყავს ახალი მოსახლე. უკვე შექმნილია სამი ახალი სოფელი: ყორათი — 200 სახლით, პატარა ფოთი — 140 სახლით, ქვალონი—180 სახლით. შენდება და მთავრდება ნაბადაში 50 სახლი, საჯოჯეოში — 70 სახლი. ეს სახლები თითო 4.000 მან. მეტი უჯდება „კოლხიდმშენს“ და სტანდარტული ტიპისაა: კრამიტით დახურული, ბუხრით, ორი აივნით, ოთხ ფანჯრიანი ერთი დარბაზითა და ერთი ოთახით. ისინი ლია წაბლის ფერისაა. კოხტა, ლამაზი, სუფთა, ჭოჩორ დავარცხნილი პაოლერებივით ჩამწკრივებულან მშრალი გზის პირად. აკვირდებით და თითქოს იცინიან ციისფერი ფანჯრებით.

ლამაზი ეზო აქვთ ამ სახლებს, ეზო შემოღობილია მაღალი მესერით. წინა ეზოში დარგულია ციტრუსები: ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი. მესერს ჩაყოლებული აქვს ევკალიპტი. ყოველი სახლი დაცულია კოლხიდაში განთქმული სიცუფთავით. სახლს ეტყობა ახალშენობა.

ციტრუსი ყველგან, ევკალიპტი ყველგან, ტექნიკური მცენარეები ყველგან... დღეს მთელი ფოთი ციტრუსების ბაღშია ჩამჯდარი. 4-5 მეტრის სიმაღლე ევკალიპტის ტყე ამშვენებს ქალაქს. ფოთში დარგულია მილიონ-ნახევარი ევკალიპტი. ფოთი კოლხიდის თვალია. ფოთის სახე დღეს — ხვალინდელი სახეა კოლხიდისა. ფოთში კი სუბ-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

პოლონეთის მთავრობის საგანგებო დეკრეტები

ვარშავა, 24 ნოემბერი (საკდესი). დღეს პოლონეთის მთავრობამ გამოაქვეყნა სამი საგანგებო დეკრეტი: „სახელმწიფოს დაცვის შესახებ", „ეგრეთწოდებული „ძასონური ორგანიზაციების დაშლის შესახებ და „სასამართლო პროცედურის შეცვლის შესახებ". ამ დეკრეტების შინაარსი მოწმობს, რომ ხდება ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების და მთელი სახელმწიფო აპარატის შემდგომი ფაშიზაცია.

„სახელმწიფოს დაცვის შესახებ" გამოცემული დეკრეტით შემოღებულია მკაცრი სასჯელი იმ პირთათვის, რომლებიც „თავისი მოქმედებით ხელს შეუწყობენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების დარღვევას, პოლონეთის ვალუტისადმი ნდობის შერყევას ან საბანკო დაწესებულებებიდან ფასეულობათა და დანაზოგთა გატანას სახელმწიფოსათვის საშიშ მომენტში". ამას გარდა, დეკრეტით შემოღებულია მთელი რიგი მკაცრი სასჯელი „ყალბი ცნობების" და „პანიკური განწყობილებათა" გავრცელებისათვის, ხელისუფლების ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოების და სახელმწიფო მოხელეთა ავტორიტეტის შელახვისათვის, უცხოეთის სადგურთა რადიოგადაცემების მოსმენისათვის (პოლონეთში მოსასმენად აკრძალული სადგურების სიას გამოაქვეყნებს შინაგან საქმეთა მინისტრი) და ა. შ.

დეკრეტი ყველაზე უფრო მკაცრ ზომებს ითვალისწინებს იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც „მოუწოდებენ ან პროპაგანდას ეწევიან მუშათა საყოველთაო გაფიცვების სასარგებლოდ", აგრეთვე იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც „ხელს უშლიან სოფლებიდან ქალაქებში პროდუქტების მიწოდებას ან აწყობენ ასეთი მიწოდებისათვის წინააღმდეგობის გაწევას".

ისმეთ ინენიუს წერილი თურქი ხალხისადმი

ანკარა, 23 ნოემბერი (საკდესი). თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ისმეთ ინენიუმ ათათურქის ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილით მიმართა თურქეთის ხალხს. წერილში ნათქვამია: „ათათურქი აშაღლდა იმ დღეს, როდესაც ჩვენ ყველაზე უფრო სასტიკი და უსამართლო თავდასხმის ობიექტი ვიყავით. მან გამოაცხადა, რომ სამართლიანია ის საქმე, რომლისთვისაც თურქი ხალხი იბრძვის. მას შემდეგ, როდესაც ათათურქმა უდიდესი გამარჯვებანი მოიპოვა, მან თავისი სიცოცხლე მხოლოდდამხოლოდ იმას შესწირა, რომ დაესაბუთებინა თურქი ხალხის უფლება და უკვდავეყო მისი დამსახურებანი კაცობრიობის წინაშე".

„ყველაზე უფრო ძვირფას სამკვიდროს, რომელიც ჩვენ ათათურქმა დაგვიტოვა, წარმოადგენს საერო რესპუბლიკის, ნაციონალიზმის, ხალხოსნობის, რევოლუციურობისა და ეტატიზმის (ეკონომიკის რეგულირება სახელმწიფოს შიერ) პრინციპები. კაცობრიობის ძმური ცხოვრება ხალხთა შორის — აი ათათურქის ყველაზე უფრო ძვირფასი იდეალი".

დასასრულ წერილში თურქეთის ხალხის სახელით გამოთქმულია მადლიერება ყველა ერისადმი, რომლებმაც გაიზიარეს თურქეთის ხალხის გლოვა.

ესპანეთის ფრონტებზე

23 ნოემბერს დილით იტალიელთა 8 ყუმბარმტყორცნმა თავდასხმა მოახდინა ბარსელონაზე; მათ ჩამოაგდეს 50-ზე მეტი ყუმბარა. დაახლოებით შუადღისას იტალიელთა 5 თვითმფრინავმა ხელმეორედ დაუშინა ყუმბარები ბარსელონას. ბომბარდირებას შედეგად დიდძალი მსხვერპლი მოჰყვა სამოქალაქო მოსახლეობაში. ლაჩისათვის აღრიცხულია დაახლოებით 40 მოკლული და 100-ზე მეტი დაჭრილი. თავდასხმის მოგერიების დროს ფაშისტთა ერთ-ერთი თვითმფრინავი დაზიანებული იქნა რესპუბლიკელთა საზენიტო ბატარიების მიერ.

მოკლე ცნობები

● ხენტრალ ნიუსის სააგენტოს კორესპონდენტი ჩანშიდან იუწყება, რომ ქალაქში სატელეგრაფო და საფოსტო კავშირი აღდგენილია. სწრაფად მიმდინარეობს ელექტროსადგურის რემონტი. ბევრი დუქანი და მაღაზია კვლავ გაიღო. ხანძრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად მთავრობის მიერ შედგენილი კომისია სურსათის დარიგებას შეუდგა. მოსახლეობა ქალაქს უბრუნდება.

● გაზეთი „პტი პარიზიენი" ბერლინიდან მიღებულ დეპეშაში გადმოგვცემს, რომ ამჟამად გერმანიაში მყოფი რუმინეთის მეფე პიტლერთან გაემგზავრება ბერხტეს გადეშში.

● ჩინეთის ფრონტებზე წარმოებულ უკანასკნელ ბრძოლებში იაპონელები დიდად ზარალობენ. 22 ნოემბერს იაპონიის ტრანსპორტებით შანხაიში ჩამოასვენეს 2 ათასი მოკლული და მოიყვანეს 4 ათასი დაჭრილი იაპონელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

● გაზეთი „ფიგარო" იუწყება, რომ დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, დანიაში აღმოჩენილ იქნა ჯაშუშთა ფაშისტური ორგანიზაცია. დაპატიმრებულია 12 კაცი. ორგანიზაციის მიზანი იყო ომის დროს ინფორმაციის შეგროვება გემებისა და თვითმფრინავთა მოძრაობის შესახებ. ორგანიზაციას მეთაურობდა გერმანელი კაპიტანი პუკარტუნგი, რომელიც ახლა დაპატიმრებულია.

საერთაშორისო საჭადრაკო ჟურნირი

ამსტერდამი, 25 ნოემბერი (საკდესი). საერთაშორისო მატჩ-ტურნირის მეთორმეტე ტური შესდგა გუშინ ჰოლანდიის დედაქალაქ — ჰააგაში.

მსოფლიოს 8 უძლიერესი გროსმაისტერის შეჯიბრება დასასრულს უახლოვდება. თითქმის ყოველი შეხვედრა უაღრესად დაძაბულ პირობებში მიმდინარეობს.

გუშინ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ეივე (ჰოლანდია) — ბოტვინიკის (სსრ კავშირი) პარტიამ. ბოტვინიკმა მეთექვსმეტე სვლაზე უხეში შეცდომა დაუშვა და ხარისხი დაჰკარგა. ოცდამეთოთხმეტე სვლაზე ჰოლანდიელმა გამარჯვებას მიაღწია.

ესტონეთის ჩემპიონმა კერესმა თავისთვის მოსაგებ მდგომარეობაში გადასდო პარტია მსოფლიო ჩემპიონ ალიოხინთან (საფრანგეთი).

საყაიმო მდგომარეობაში გადასდო კაპაბლანკამ (კუბა) პარტია რეშევსკისთან (ამერიკის შეერთებული შტატები). ეს უკვე მეათე პარტიაა, გადადებული რეშევსკის მიერ.

მშვიდობიანი ყაიმით დამთავრდა მეცხრამეტე სვლაზე ფლორისა და ფაინის პარტია.

ფეხბურთი

ორი მაჯჩი

24 ნოემბერს ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე ჩატარდა ფეხბურთელთა გუნდების ორი მატჩი.

თბილისის „დინამოს" ოსტატები შეხვდნენ „მოტორის" საზოგადოების ფეხბურთელთა პირველ გუნდს. „მოტორის" ახალგაზრდა მოთამაშეებმა ოსტატებს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს. მაგრამ მიუხედავად ამისა თამაშის დამთავრებამდე „დინამოელებმა" ორჯერ შესძლეს მოწინააღმდეგის კარის გარღვევა და შეჯიბრება მოიგეს ანგარიშით 2:0.

საინტერესოდ მიმდინარეობდა თბილისის „ლოკომოტივისა" და როსტოვის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელების შეჯიბრება. თამაშის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ნახევარში უხეში საქციელისათვის მსაჯმა სტადიონიდან გააძევა როსტოვის ორი მოთამაშე. ამის შემდეგ სიხარულიანმ და კარამატაზიანმა თითოჯერ გაარღვიეს მოწინააღმდეგის კარი, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე როსტოველებმა შესძლეს ანგარიშის გაქვითება და, ამრიგად, ჭატჩი ფრედ დამთავრდა ანგარიშით 2:2.

რადიო 26 ნოემბერს

11 ს. 00 — თბილისის ახალი ამბები ქართულ და რუსულ ენებზე.

11 ს. 20 წ. — კონცერტი (საბჭოთა კომპოზიტორები).

16 ს. 35 წ. — სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

19 ს. 00 — პროფ. კეცხოველის გამოსვლა — „საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ".

19 ს. 15 წ. საუბარი რუსულ ენაზე — „კიბო და მის წინააღმდეგ ბრძოლა" (დოცენტი ვეფხვაძე).

20 ს. — ვერდის ოპერის „რიგოლეტოს" ტრანსლაცია სახობერიდან.

რიონის გაღაგდება

მდინარე რიონის გადაგდება, მისთვის ახალი კალაპოტის მიჩენა ქ. ფოთიდან ჩრდილოეთით 5 კილომეტრის დაშორებით ფრიად სერიოზულ და მეტად დიდმნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს. ამ ლონისძიებათა განხორციელება დაიჩქარებს კოლხიდის დაბლობების ამოშრობას, ხელს შეუწყობს ქ. ფოთის შემდგომ აყვავებას, სუბტროპიკული ძვირფასი კულტურების ფართოდ დანერგვას და უხვ მოსავლიანობას, მშრომელთა კეთილდღეობას.

ცნობილია, რომ კოლხიდის დაბლობების ამოშრობასთან დაკავშირებით, სხვადასხვა მდინარეების არხებისა და თხრილების საშუალებით რიონი ბევრად უფრო მეტ წყალს მიიღებს, ვიდრე ახლა იღებს. მან უნდა შეაგროვოს და შავ ზღვას შეუერთოს წვიმისა და სხვა წყლები, რომლებიც უგზოობის გამო თავს იყრიდა, გუბდებოდა და ლპებოდა კოლხიდის ვრცელ ფართობზე.

ცხადია, თუ მდინარე რიონის ნაპირები არ იქნებოდა ამაღლებული, თუ მას ახალ კალაპოტს არ მივუჩენდით, ის წყალდიდობის შემთხვევაში წალეკვით დაემუქრებოდა ქ. ფოთს და მის მიდამოებს, ხელახლა დააჭაობებდა მთელ რიგ უკვე ამოშრობილ ფართობებს.

ამჟამად მდინარე რიონისათვის ახალი კალაპოტის მისაჩენად ყველა მიწის სამუშაო ძირითადად უკვე დამთავრებულია. კერძოდ, გაყვანილია არხი 5 კილომეტრის მანძილზე, გაკეთებულია საცავი მიწაყრილი 19 კილომეტრზე, გამართულია გზა 15 კილომეტრზე. დარჩენილი სამუშაოები მთლიანად დამთავრებულ იქნება 1939 წელს და მდინარე რიონი ზღვას შეუერთდება ახალი არხით.

მდინარე რიონის ახალი არხის მშენებელთა მთელი კოლექტივი მოუთმენლად და უსაზღვრო სიხარულით ელის იმ დღეს, როცა მასზე დაკისრებული ამოცანის შესრულებას უპატაკებს ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას.

მშენებლობის მუშაკთა შორის უკვე რამდენიმე წელია ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. ამჟამად რიონის არხის მშენებელთა 80 პროცენტამდე სტახანოველია. უკვე მესამე წელია, რაც მშენებლობაზე არ არის არცერთი მუშა, რომელიც გეგმას გადაჭარბებით არ ასრულებდეს. განსაკუთრებულ კარგ მაჩვენებლებს იძლევიან ე. პერცევის, ივ. ხიტრიჩენკოს მიწისმთხრელი ბრიგადები, მიწისმთხრელები: ტრ. ზაბოტნიუკი, ივ. დობროვი, ივ. გუსაკი და სხვ., რომლებიც ყოველდღიურად ადიდებენ გამომუშავების ნორმებს, გვაძლევენ საუკეთესო მაჩვენებლებს. ავიღოთ ბრიგადირ ე. პერცევის მუშაობა. ამხ. პერცევი ყოფილი წითელარმიელია, ის უმცროს მეთაურად იყო. ამხ. ვ. პერცევს თავის ბრიგადაში დამყარებული აქვს მტკიცე, შეგნებული დისციპლინა. მას აქვს ორგანიზატორული ნიჭი, შესწევს უნარი დარაზმოს ბრიგადის ყველა წევრი გეგმების შესრულებისათვის. მან მოსპო ბრიგადაში დენადობა და სხვ.

მიწისმთხრელი ტრ. ზაბოტნიუკი რიონის არხის მშენებლობაზე 1934 წლის შემოდგომიდან მუშაობს და 4 წლის განმავლობაში არ გაუცდენია არცერთი სამუშაო დღე, არ ჰქონია გეგმის შეუსრულებლობის არცერთი შემთხვევა. ამჟამად ამხ. ზაბოტნიუკი ყოველდღიურ დავალებას 300-ზე მეტი პროცენტით ასრულებს. მოწყობილი აქვს საკარმიდამო მეურნეობაც, სადაც დარგო და საუკეთესოდ მოვლილი აქვს 274 ძირი მანდარინი და ლიმონი, სწავლობს ძვირფასი კულტურების აგროწესებს და სხვ.

ასეთი თავდადებული, ენერგიული მუშაკი რიონის არხის მშენებლობაზე მრავალია.

ფრიად ნაყოფიერად მუშაობს სპეციალისტი ამხ. მიხ. შუბლაძე, რომელიც რიგითი ტექნიკოსობიდან ენერგიული და თავდადებული მუშაობის შედეგად დაწინაურებულ იქნა სამუშაოთა ხელმძღვანელის თანამდებობაზე და მიღებულია საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად.

ხალხის მოსისხლე მტრები, ტროცკისტ-ბუხარინელი არამზადები, რომელნიც დიდხანს მოკალთებულნი იყვნენ „კოლხიდმშენში", ცდილობდნენ ჩაეშალათ რიონის არხისა და სხვა სამუშაოთა გეგმები, შეეფერხებინათ მშრომელთა წინსვლის საქმე. მაგრამ არამზადები სასტიკად მოსტყუვდნენ.

ახალგაზრდა სპეციალისტთა მტკიცე კოლექტივმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მტკიცე სტალინელის ამხანაგ ლ. ბერიას მითითებათა ურყევად განხორციელებით დარაზმა მთელი ძალები, თავდადებული მუშაობით მიაღწია ყოველდღიურ წარმატებებს, გეგმების გადაჭარბებით შესრულებას. მომავალში ამ წარმატებათა კიდევ უფრო განმტკიცებით, მუშაობის გაძლიერებით ჩვენ უზრუნველვყოფთ შემდგომ ახალ გამარჯვებებს.

ინჟინერი მიხ. ანანიევი

„კოლხიდმშენის" მთავარი ინჟინრის მოადგილე.



კოლხიდმშენი. ეკსკავატორი მდ. რიონის გადასაგდებ სამუშაოებზე

ფოტო ი. რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

მწერალთა კავშირში

27 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პოეტების სექცია აწყობს ამხ. მიხეილ უზნაძის ისტორიული პოემის „ჯუმურდის" კითხვას.

ქვანახშირი და მარგანეცი

23 ნოემბრისათვის

(ტონობით)

	ჩაგმა	შესრულება	%
ტყიბული	1026	589	57,4
ტყვარჩელი	728	850	118
ჭიათურა	5530	4803	87

პარტკალენდარი

აქტივისა და ხელმძღვანელ მუშაკთათვის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესასწავლად 26 ნოემბერს დანიშნული მეცადინეობა გადატანილია ა. წ. 28 ნოემბრისათვის.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1507200, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მიერ პიმენ სამსონის-ძე თალაკვაძის სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 0930351, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მიერ დავით გალაქტიონის-ძე ყიფიანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

მეორე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმა

(მეოთხე წლის გამოტვლა)

წაუგებელი გამოშვება მოგებათა მეცხრე ტირაჟის საცნობო ცხრილი

ტირაჟი სწარმოებდა ქ. ტაშკენტში 1938 წლის 17 და 18 ნოემბერს.

სერიებისა და ობლიგაციების იმ ნომრებმა, რომლებიც ცხოლშია აღნიშნული, მოიგეს მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) წაუგებელი გამოშვების ორასსავე თანრიგში.

მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შედის მისი ხვედრი მოგების თანხაში

ცხრილში აღნიშნულია ასმანეთიანი ობლიგაციების მოგება. 50, 25 და 10 მანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა ასმანეთიანი ობლიგაციის მოგების სათანადო ნაწილი (½, ¼ ან 1/10).

500, 300 და 200 მანეთიან ობლიგაციებს აქვთ შესაბამისად ხუთი, სამი ან ორი ნომერი იმავე სერიის ობლიგაციებისა და ითვლებიან როგორც 5, 3 ან 2 ცალკეული ასმანეთიანი ობლიგაცია, თუ სერიისა და ამ ობლიგაციების ერთერთ ნომერს ხვდა მოგება 3.000, 1,000 ან 500 მანეთის რაოდენობით, მაშინ იმავე ობლიგაციების დანარჩენი ნომრები იგებენ 150 მანეთს თვითეული. თუ სერიას ხვდა მოგება 200 ან 150 მან. რაოდენობით, მაშინ ამ სერიის 500, 300 და 200 მანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა შესაბამისად ხუთი, სამი ან ორი მოგება 200 და 150 მან. რაოდენობით.

შოგება გაიცემა შემნახველი სალაროების ძიერ ოფიციალური ცხრილების მიხედვით. რომლებიც გამოქვეყნებული იქნება გაზეთებში: „პრავდაში", „იზვესტიაში", „ტრუდში", „ფინანსოვაია გაზეტაში", აგრეთვე სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის მთავარ სამმართველოს მიერ გამოცემული ოფიციალური ცხრილების მიხედვით.

მოგებათა მე-9 ტირაჟში მოგება ხვდა სესხის წაუგებელი გამოშვების ორასსავე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს

სერიის №	ობლიგაციის №	მოგების რაოდენობა მანეთში	სერიის №	ობლიგაციის №	მოგების რაოდენობა მანეთში
00784	1—50	150	10205	41*)	500
00834	1—50	200	10524	21*)	500
00952	1—50	200	10602	1—50	150
01177	15*)	500	10645	19*)	1000
01763	45*)	1000	10671	36*)	500
01852	1—50	150	11038	03*)	500
02044	49*)	500	11380	1—50	200
02157	1—50	150	11578	07*)	500
02318	1—50	200	11738	1—50	150
02417	24*)	500	11780	33*)	500
02981	45*)	500	11830	17*)	500
03083	1—50	150	12241	44*)	500
03156	07*)	500	12309	1—50	150
03297	22*)	500	12573	33*)	500
03400	1—50	200	12676	10*)	1000
03525	1—50	200	12766	1—50	150
04091	1—50	150	13037	1—50	150
04096	04*)	500	13281	27*)	500
04260	25*)	500	13545	1—50	200
04281	1—50	150	13572	33*)	500
04387	06*)	500	13583	50*)	500
04439	11*)	500	13649	10*)	1000
04458	39*)	500	14107	1—50	150
04707	1—50	150	14241	1—50	150
04817	14*)	500	14718	1—50	150
04839	1—50	150	14947	18*)	500
04906	1—50	150	14963	1—50	200
05011	1—50	150	15703	21*)	500
05172	25*)	500	15711	1—50	150
05263	40*)	500	15727	1—50	150
05272	1—50	200	15868	1—50	150
05340	1—50	150	15916	39*)	500
05411	1—50	150	16441	1—50	200
05413	15*)	1000	16714	10*)	500
05416	1—50	150	16717	45*)	500
05847	1—50	150	16735	31*)	500
06204	33*)	500	17042	1—50	200
06214	1—50	150	17357	1—50	150
06303	36*)	500	17555	1—50	200
06615	18*)	500	17659	18*)	500
06673	03*)	500	18068	1—50	150
06779	26*)	500	18258	06*)	500
06953	1—50	200	18331	13*)	500
07277	1—50	150	18415	37*)	500
07633	13*)	500	18582	21*)	500
08148	1—50	150	18690	40*)	500
08451	1—50	150	18708	1—50	150
08604	1—50	200	18834	1—50	200
08717	1—50	200	18968	1—50	200
08838	1—50	150	19044	1—50	200
09019	1—50	150	19096	28*)	500
09106	21*)	500	19330	1—50	200
09410	17*)	500	19612	1—50	150
09530	34*)	500	19789	1—50	150
09590	1—50	200	19874	38*)	500
09616	49*)	3000	19955	24*)	500
09784	1—50	150			

*) ამ სერიის დანარჩენმა 49 ნომრებმა მოიგეს 150 მანეთი თვითეულმა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

კოლხიდა

(დასასრული)

ტროპიკული ქვეყნებიდან ჩამოტანილი ყველა კულტურა ხარობს. აბ კულტურებიდან აღსანიშნავია მეტად ძვირფასი და ნაზი გრეიპფრუტი. იგი ფლორიდიდანაა ჩამოტანილი 1933 წელს. თითო ძირში 2 მან. 60 კაპეიკია გადახდილი ოქროთი. გრეიპფრუტმა კარგად იხარა. დღეს გრეიპფრუტის მეურნეობა 52 ჰექტარზეა გადაშენული. სწორედ იქ, სადაც წინათ წურბელითი იყო და მოშხამული ჭაობი... ამ ხილის მასობრივი კრეფა შარშან დაიწყეს. 27.000 ცალი მოჭკრიფეს. წელს 40.000 მოჭკრეფენ, გაისად 100.000. გრეიპფრუტი კოლხიდის მშენებელთა ბრწყინვალე გამარჯვებაა. ფოთში არის სადედე-საცდელი ბაღი, სადაც სცდიან იხარებს თუ არა ჩვენში სუბტროპიკული ძვირფასი კულტურები. აქ წარმოდგენილია ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია, ცეილონი, იტალია, ავსტრალია, ბრაზილია, ფლორიდა, კალიფორნია... მცენარეთა ნამდვილი ინტერნაციონალია ამ ბაღში. ამ ბაღში უცხოელი მცენარე საბჭოთა პასპორტს ღებულობს და მიდის ახალი კოლხიდის ახალ მიწაზე. მიდის უკვე, როგორც ჩვენი შვილი, ჩვენს მიწაზე გასახარებლად, ჩვენი კოლმეურნეების გასამდიდრებლად და ჩვენი სამშობლოს გასალამაზებლად.

კოლხიდა მომავალში

მთელი კოლხიდა ევკალიპტების ტყეში... ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, გრეიპფრუტის, ფეიხოას, ანანასის ბაღები... ჩაისა და რამის პლანტაციები... ასფალტის გზები მთელ კოლხიდაში... მოთვინიერებული რიონი და გემები რიონში... ციტრუსების გადასამუშავებელი ქარხნები... საკონსერვო და ზეთსახდელი ქარხნები. ელექტრონით გათბებული კოტეჯები... კულტურული სანავშვო კურორტი მალთაყვა ფოთის მახლობლად... რამის ქარხნები კოლმეურნეობებში... 15.000 ახალი მოსახლე. ესენი ჩამოყვანილი იქნებიან მცირემიწიანი რაიონებიდან... ხიდები მდინარეებზე. ცხრა დიდი ხიდი უკვე დაპროექტებულია. ერთი უზარმაზარი რკინის ახალი ხიდი უკვე დამთავრებულია სწორედ იმ ალაგას, სადაც წინათ კოლხიდელ გლეხებს ოჩოკოჩი და ტყის დედოფალი ელანდებოდათ... წყალსადენი ფოთში... მომავალი წლიდან წყალსადენი კოლხიდის ყველა ახალშენებისათვის... ავტობუსები, მანქანები, კატერები. კოლხიდაში იმდენ საკვირველებას შეეჩვია თვალი, რომ უკვე არ გიკვირთ ულრან ტყეში ამომშრალი ჭაობი, ახალი სოფელი, მშვენიერი გზა, გზის პირას ბოძი და ზედ წარწერა: „ავტობუსების გაჩერება"... არც ის გიკვირთ, როცა ახალი კოლხიდის მშენებელი, „კოლხიდმშენის" ხელმძღვანელი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ლავრენტი ჯანჯღლავა კაბინეტში ტელეფონს აიღებს და ლაპარაკობს: „საქალაქთაშორისო... მომეცით ყორათი"... საქალაქთაშორისო და ყორათი ეს იქნებოდა ზღაპარი, რომ სინამდვილე არ იყოს...

და რამდენი ინჟინერი, ექიმი, აგრონომი, მასწავლებელი, ტექნიკოსი იქნება საჭირო... რამდენი სკოლა... თეატრი, კლუბი...

მაგრამ მთავარი ხომ ეს არ არის. მთავარია ის, რომ განდეგნილ იქნება ყვითელი მახრჩობელა ციება და გაჯანსაღდება ათასწლობით განაწამები ხალხი... კოლხიდის ჭაობის ამოშრობა უკვე ეტყობა ხალხს. შეიცვალა ცხოვრების ტონუსი. ისმის მხიარული სიმღერა. გამარჯვებული ხალხი ვეფხის ნაბიჯით დადის ახალ მიწაზე. ჭაობის წყალს გაჰყვა ბაყაყი და დამარცხდა კოლო, ამ წელს ფოთის სამალარიო სადგურმა ციებით ახალ დაავადებულთა მხოლოდ 11 შემთხვევა აღნიშნა. ეს ისეთი გამარჯვებაა, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება არა მარტო კოლხიდის ისტორიაში. ეს მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გამარჯვება და სიხარულია. ჩვენ გვემატება ახალი მიწა და ახალ მიწაზე ახალი ჯანსაღი ხალხი.

ოდესლაც, 2500 წლის წინათ, ბერძენი მწერალი ესხილე თავის „მიჯაჭვულ პრომეთეში" ამბობდა: კოლხიდის ხალხი მოჯანყე და უტეხი არისო...

მართალს ამბობდა ესხილე.

ჩვენს ხალხს თავიდანვე სჩვევია ნების სიმტკიცე და უტეხი ძალა თავისი სამშობლოს დასაცავად. ჩვენი ქვეყანა არასოდეს დაჩოქილა შემოსული მტრის წინაშე. და თუ ჭაობისაგან გაწამებული ციებიანი ხალხი ასე მედგრად იცავდა თავის მიწა-წყალს, როგორ მტკიცედ დაირაზმება მთელი ჩვენი ხალხი დიდი სტალინის დროშის ქვეშ ახალი, ლამაზი, ბედნიერი სამშობლოს დასაცავად.

სტყუის უცხოელთა ლეგენდა. ჩვენი „ოქროს ვერძი" არავის წაუღია, ჩვენი „ოქროს ვერძი" ჩვენი ნაციონალური თავმოყვარეობა იყო, ჩვენი სამშობლოს სიყვარული იყო, საკუთარი თავისა და ძალის რწმენა იყო....

ეს ყველაფერი გვაქვს დღეს გახმტკიცებული და გაკაჟებული გმირული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და არავის დავუთმობთ მას...

აბა სცადონ თანამედროვე ყაჩაღარგონავტებმა და მოადგანენ ჩვენი ქვეყნის ოქროს ნაპირებს... ისინი განმანადგურებელ პასუხს მიიღებენ მთელი ჩვენი ხალხისაგან.

1938 წლის 11-12 დეკემბერს ქალაქ რიაზანში

შესდგება სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის მოგებათა მე-4 ტირაჟი.

ტირაჟში გათამაშებული იქნება 265.000 მოგება 43.703.000 მანეთის რაოდენობით.

მოქალაქეებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხზე და რაიმე მიზეზით დღემდე არ მიუღიათ თავისი ობლიგაციები, ახლავე უნდა მიიღონ ეს ობლიგაციები ხელისმოწერის ადგილზე ცენტრალურ ან რაიონულ შემნახველ სალაროებში, სადაც ობლიგაციები გადაცემულია საწარმოთა და დაწესებულებათა ბუხჰალტერიის მიერ.

ხელის მომწერლები, რომლებიც 11 დეკემბრამდე არ მიიღებენ სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციებს, მონაწილეობას ვერ მიიღებენ მომავალ ტირაჟში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი სალაროებისა და სახკრედიტატის საგმართველო.

2—1 1367

თბილისის ფ. ბ. ფაღლაშვილის სახ. ოპერისა და balletის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938-39 წ. სეზონი

27/XI	28/XI	29/XI
მუდმ. ადგ. ტალ. № 34	მუდმ. ადგ. ტალ. № 35	მუდმ. ადგ. ტალ № 36
აბ. № 5	აბ. № 6	
ესმერალდა	ღაისი	აბესალომ და ეთერი

დასაწყისი 8 საათზე

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938-39 წ. სეზონი

26/XI	წარმოდგენა 56 ფოლადური
27/XI	წარმოდგენა 57 ფოლადური
28/XI	წარმოდგენა 58 უდანაშაულოდ დამნაშავეები

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

26/XI	კოლმეურნის ქორწინება
27/XI	კოლმეურნის ქორწინება
28 XI	ურიელ აკოსტა

საქ. სსრ სახკომსაბჭოს გამომცემლობა „კომუნისტი" მიიღება ხელისმოწერა 1939 წლისათვის გაზ. „კომუნისტი"

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
30 მ.	15 მ.	7 მ. 50 კ.	2 მ. 50 კ.

ყოველთვიურ ჟურნალებზე:

„ბოლშევიკი" — საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
6 მ.	3 მ.	1 მ. 50 კ.	50 კ.

„ახალგაზრდა ბოლშევიკი" — საქ. ალკკ ც. კ-ის და თბ. კ. ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
6 მ.	3 მ.	1 მ. 50 კ.	50 კ.

„მშრომელი ქალი" — საქ. კ. პ (ბ) ც. კ-ის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
4 მ. 80 კ.	2 მ. 40 კ.	1 მ. 20 კ.	40 კ

„ნიანგი"

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
14 მ. 40 კ	7 მ. 20 კ.	3 მ. 60 კ.	1 მ. 20 კ.

ხელისმოწერა ჩაბარდეთ: „სოიუზპეჩატს", ფოსტას. წერილდამტარებლებს, ხელისმოწერის შემკრებთ წარმოებაში და დაწესებულებაში, პოლიტგანყოფილებათა გაზეთების გამომცემლობებს ტრანსპორტზე.

ხელისმოწერის ქვითრებში და ფურცლებში შეამოწმეთ, სწორად და ხუსტად არის თუ არა აღნიშნული მისამართი, გვარი ინიციალებით, ხელისმოწერის ვადები და რაოდენობა.

ჟურნალ-გაზეთებზე ხელისმოწერა ჩაბარეთ თავის დროზე, ნუ გადასდებთ თვის უკანასკნელი დღეებისათვის.

ხელისმოწერის ჩაბარების უკანასკნელი ვადა არის თბილისისათვის 27 რიცხვამდე, პროვინციაში—ადგილებზე დაწესებულ ვადებში.

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

**ქახე